პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 133 (10527) | შაბათი, 9 ივნისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

შესრულების შემოწმება ცოცხალი, შემოქმედებითი საქმეა

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მტკიცედ იბრძვიან იმისათვის, რომ განახორციელონ დიადი ამოცანები, რომლებიც კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება 1956 წლის — მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის მასების აქტივობის მძლავრ აღმავლობას, საბჭოთა ადამიანების ინიციატივა წარმართონ კომუნისტური მშენებლობის გეგმების განსახორციელებლად. ამისათვის საჭიროა ავამაღლოთ ხელმძღვანელების დონე, სწორად შევარჩიოთ კადრები, სისტემატურად შევამოწმოთ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება.

სამეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობა პარტიული მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „პარტიული ორგანიზაციები მკვეთრად უნდა მობრუნდნენ სამეურნეო მშენებლობისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობის საკითხებისაკენ, გააძლიერონ სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკისა და ეკონომიკის შესწავლა, რათა საქმის ღრმა ცოდნით უხელმძღვანელონ მათს მუშაობას“.

ადამიანების შემოწმება და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება,— გვასწავლიდა დიდი ლენინი, — ეს არის, ერთხელ კიდევ ეს არის, მხოლოდ ეს არის ახლა მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის ბერკეტი.

ლენინის ამ ბრძნულ მითითებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახლა, როცა პარტია ყოველი ღონისძიებით ამაღლებს პარტიული კადრების პასუხისმგებლობას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკული საკითხების გადაჭრისათვის, შეურიგებელ ბრძოლას ეწევა ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატული მეთოდების წინააღმდეგ.

შესრულების შემოწმება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი მუშაკები პრაქტიკული გამოცდილების ცეცხლში ამოწმებდნენ არა მარტო გადაწყვეტილების შესრულებას, არამედ თვით ამ გადაწყვეტილების სისწორეს. შესრულების შემოწმება მაშინ მიაღწევს მიზანს, თუ შესრულების შემოწმების სათავეში იქნებიან არა მეორეხარისხოვანი პირები, არამედ ავტორიტეტული ადამიანები, თვით ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებში შესრულების შემოწმების სწორად მოწყობა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ცოცხალი, ოპერატიული მუშაობის საზიანოდ ჯერ კიდევ გატაცებულია დიდძალ ახალ გადაწყვეტილებათა მიღებით, ზოგჯერ ფორმალურად ახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი.

სწორად, შემოქმედებითად რომ მოვაწყოთ შესრულების შემოწმება, საჭიროა პარტიული მუშაკები ღრმად დაეუფლონ კონკრეტული ეკონომიკის ცოდნას, უფრო ხშირად იყვნენ ადგილებზე, ყოველდღე იმუშაონ ცოცხალ საქმეზე, დარაზმონ მასები პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საბრძოლველად. ასეთი მუშაობით მნიშვნელოვნად ამაღლდება სამეურნეო მშენებლობის დარგში მათი ორგანიზატორული როლი, ეს კი დადებითს გავლენას მოახდენს სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის შედეგებზე.

მეურნეობისადმი კვალიფიციური პარტიული ხელმძღვანელობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ერთმანეთში ავურიოთ პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ფუნქციები. ფუნქციათა ასეთი შეცვლა გაუპიროვნებასა და უპასუხისმგებლობას გამოიწვევს. ღრმად ჩასწვდებიან რა მეურნეობას, მოაწყობენ რა ყველა დარგის განუწყვეტელ ზრდას, პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონისძიებით უნდა განავითარონ სამეურნეო ორგანოების ინიციატივა, გაადიდონ მათი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონული პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ვერ გარდაქმნეს თავიანთი საქმიანობა, არ ეწევიან ნამდვილ ორგანიზატორულ მუშაობას სამეურნეო მშენებლობის დარგში, ადგილზე საქმის ცოდნით არ სწავლობენ მდგომარეობას და ჩაშლილი მუშაობის გამო გამოაქვთ ზერელე დადგენილებები.

მაგალითად, სოხუმის რაიონის სოფელ ბესლეთის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, ძალიან დაბალია მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ამის გამო შარშან პარტიის რაიონულმა კომიტეტმა რამდენჯერმე განიხილა კოლმეურნეობის მუშაობის საკითხი, მაგრამ მდგომარეობა არც მიმდინარე წელს გამოსწორებულა. 1956 წლის 14 აპრილს რაიკომის ბიურომ კვლავ განიხილა სოფელ ბესლეთის კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხი. დასახეს ვრცელი ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ საქმეს ამანაც ვერ უშველა. კოლმეურნეობა კვლავ ჩამორჩება. სიმინდის თესვის გეგმა აქ ჩაშალეს. წელს უნდა დაეთესათ სიმინდი 97 ჰექტარი, 4 ივნისისათვის დათესილი ჰქონდათ მხოლოდ 5 ჰექტარი. ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე თამბაქოს რგვა.

ეს ფაქტი იმაზე ლაპარაკობს, რომ რაიონული კომიტეტი მხოლოდ ზერელე დადგენილებების გამოტანით კმაყოფილდებოდა. ასეთი პრაქტიკა, როცა გადაწყვეტილებანი ფორმალურად გამოაქვთ, ძირს უთხრის თვით გადაწყვეტილებათა ავტორიტეტს, იწვევს იმას, რომ მათი შესრულება თითქოს სავალდებულო არ არის. ასეთ შემთხვევაში პარტიული მუშაკები აკეთებენ არა ცოცხალ შემოქმედებითს საქმეს, არამედ გართული არიან ქაღალდების უმიზნო წერით, რომლებიც ძალიან ხშირად ზედმეტია და საქმისათვის მავნე. მსგავს მაგალითებს ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც ვხვდებით.

შესრულების შემოწმების არსი ის როდია, რომ მივიღოთ კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომელიც აღნიშნავს, ამა თუ იმ ნაკლოვანებას. შემოწმება ნიშნავს მოვაწყოთ შესრულება, შეცდომები კი არ აღვრიცხოთ, არამედ გამოვასწოროთ, გადაწყვეტილებათა შესრულების სწორი შემოწმება მჭიდროდ დავუკავშიროთ ადამიანების შემოწმებას, მათი პოლიტიკური და საქმიანი თვისებების შესწავლას, იგი მოითხოვს, რომ კადრებს პრაქტიკული დახმარება გავუწიოთ მათს მუშაობაში.

გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი სწორი კონტროლი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა კონკრეტულად და ღრმად შეისწავლება მასების გამოცდილება. ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ქვემოდან კრიტიკის გათვალისწინებით პარტიულ კომიტეტს შეუძლია გამოავლინოს თვით გადაწყვეტილების ნაკლოვანებანიც, მიიღოს ამ შეცდომების დროზე აღმოფხვრის ღონისძიებანი. ყოველთვის უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ შესრულების ნამდვილი შემოწმება ცოცხალი, შემოქმედებითი საქმეა, რომელიც კაზონურობას არ ითმენს.

განუწყვეტლივ გაუმჯობესებენ რა შესრულების შემოწმებას, პარტიული ორგანიზაციები შემდგომ აამაღლებენ სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის დონეს, წარმატებით გადაწყვეტენ ყველა იმ ამოცანას, რომლებიც პარტიის XX ყრილობამ დასახა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მოსკოვიდან ბერლინში გაემგზავრა

7 ივნისს დილით მოსკოვიდან ბერლინში გაემგზავრა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე კიმ ირ სენი.

ცენტრალურ აეროდრომზე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია გააცილეს: ამხანაგებმა ა. ი. მიკოიანმა, ლ. ი ბრეჟნევმა, ე. ა. ფურცევამ და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

ნ. ა. ბულგანინის წერილი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის

დუაიტ დ. ეიზენჰაუერისადმი

7 ივნისს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გ. ნ. ზარუბინმა ინახულა სახელმწიფო მდივანი ჯ. ფ. დალეს და გადასცა მას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დუაიტ დ. ეიზენჰაუერისადმი.

ქვემოთ ქვეყნდება აღნიშნული წერილის ტექსტი:

„მოსკოვი, კრემლი.

1956 წლის 6 ივნისი.

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ამჟამად განიარაღების პრობლემა კვლავ არის ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი საერთაშორისო პრობლემა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, რომელმაც აურაცხელი მსხვერპლი და უდიდესი მატერიალური ზარალი მოუტანა კაცობრიობას, ჩვენ ყველას მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი გაგვეკეთებინა ყოველივე შესაძლებელი, რათა არ დაგვეშვა მესამე მსოფლიო ომის წარმოშობა. სწორედ ამ მიზნით მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სახელმწიფოებმა დაიწყეს მოლაპარაკება შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. სამწუხაროდ, ამ მოლაპარაკებას დღემდე დადებითი შედეგები არ მოუცია.

ვფიქრობ, თქვენ აგრეთვე იზიარებთ აზრს, რომ მასობრივი მოსპობის ახალ სახეობათა იარაღის გამოჩენა, ისეთების, როგორიც არის ატომური და წყალბადის იარაღი, განსაკუთრებით გადაუდებელსა და საჭიროს ხდის განიარაღების პრობლემის გადაჭრას. მე ამჟამად არ მჭირდება გელაპარაკოთ უფრო დაწვრილებით ამაზე თქვენ, გამოჩენილ სამხედრო მოღვაწეს, რომელიც ასე ახლო იდექით წარსული ომის ამბებთან.

თქვენ გაიხსენებთ, ბატონო პრეზიდენტო, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე, რომელზედაც ჩვენ დაგვრჩა უაღრესად გულთბილი მოგონებანი, ყველა მონაწილემ, მათ შორის თქვენც შეერთებული შტატების მთავრობისა და ხალხის სახელით, გამოთქვა საერთო სურვილი თავიდან ავიცილოთ ომის საფრთხე და შევამციროთ შეიარაღების ტვირთი.

საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა იმ საკითხის განხილვას, თუ რანაირად შეიძლება გამოვიდეთ ჩიხიდან, რომელშიც ახლა მოექცა მოლაპარაკება განიარაღების შესახებ. ფაქტები მოწმობენ, რომ მოლაპარაკებამ განიარაღების საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქვეკომიტეტში დადებითი შედეგები არ მოგვცა. ამ ბოლო დროს ეს მოლაპარაკება უაღრესად გართულდა. ფაქტიურად განიარაღების ქვეკომიტეტის საქმიანობა აბრკოლებს წინსვლას ამ საქმეში. ასეთ პირობებში ძნელია ვიქონიოთ იმედი, რომ მოლაპარაკებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიძლება ახლო ხანში მოჰყვეს კონკრეტული შედეგები განიარაღების დარგში.

სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა ახლებურად მიუდგეს განიარაღების პრობლემის გადაჭრას. ჩვენ გვსურს, რომ საბჭოთა მთავრობის ეს მისწრაფება სწორად იქნას გაგებული.

ჩვენ მივედით ღრმა რწმენამდე, რომ ამჟამად, როცა არის საერთაშორისო დაძაბულობის გარკვეული შენელება და „ცივი ომი“ წარსულს ბარდება, შეიქმნა უფრო ხელსაყრელი პირობები გამალებული შეიარაღების შენელებისა და განიარაღების ღონისძიებათა განხორციელებისათვის. ამ პირობებში ჩვენ მიგვაჩნია, რომ განიარაღების პრობლემაზე საერთაშორისო შეთანხმების მიღწევამდე სახელმწიფოთა მეცადინეობა უნდა მოხმარდეს იმას, რომ თვითეულმა სახელმწიფომ განახორციელოს განიარაღების შემცირების კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება შეიძლება და არ დაელოდოს განიარაღების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების დადებას. ასეთ ღონისძიებათა განხორციელება, უეჭველია, ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნას განიარაღების ყოვლისმომცველი პროგრამის განხორციელებისათვის.

იმედი მაქვს, ბატონო პრეზიდენტო, დამეთანხმებით, რომ ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა დიდ სახელმწიფოთა, მათ შორის საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თაოსნობას, რომლებსაც ყველაზე მეტი შეიარაღებული ძალები და მატერიალური რესურსები მოეპოვებათ.

ხელმძღვანელობს რა ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების მაღალი მიზნებით, საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება იკისროს თაოსნობა, არ დაელოდოს შეთანხმებას განიარაღების შესახებ და განახორციელოს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების დიდი შემცირება 1.200.000 კაცით, გარდა იმ 640 ათასი კაცით შეიარაღებული ძალების შემცირებისა, რომელიც 1955 წელს განხორციელდა. ამის შესაბამისად შემცირდება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ხარჯები სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით სამხედრო საჭიროებისათვის.

ამ გადაწყვეტილების შესაბამისად დაიშლება 63 დივიზია და ცალკეული ბრიგადები, მათ შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი 3 საავიაციო დივიზია და სხვა საბრძოლო ნაწილები, რომელთა რიცხვი 30 ათას კაცს აღემატება. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის, რომ გერმანიიდან აღნიშნული რაოდენობით საბჭოთა ჯარების გამოყვანა საკითხს მთლიანად არა წყვეტს. საბჭოთა მთავრობის ეს ღონისძიება მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მაგრამ ჩვენ ვემყარებით იმას, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები, რომელთაც ჯარები ჰყავთ გერმანიის ტერიტორიაზე, თავის მხრივ აგრეთვე მიიღებენ ღონისძიებებს გერმანიაში თავიანთი შეიარაღებული ძალების შესამცირებლად, ეს, უეჭველია, ნიადაგს მოამზადებდა უფრო გადამწყვეტი ნაბიჯებისათვის ამ საკითხში. ამასთან ჩვენ მხედველობაში გვაქვს, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა ასეთ ღონისძიებებს შეიძლება შემდეგში მოჰყვეს შეთანხმება გერმანიაში უცხოეთის შეიარაღებული ძალების რიცხვის მკვეთრი შემცირების შესახებ ან გერმანიის ტერიტორიიდან უცხოეთის შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ.

ჩემი კოლეგები და მე იმედს გამოვთქვამთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და პირადად თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, მთელი ყურადღებით განიხილავთ საბჭოთა მთავრობის 14 მაისის თანდართულ განცხადებას განიარაღების საკითხზე და, თავის მხრივ, ღირსეულ წვლილს შეიტანთ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საქმეში, საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ჩვენი სახელმწიფოების შესაბამის ნაბიჯებს, უეჭველია, მხარს დაუჭერენ სხვა ქვეყნებიც, რაც დასაბამს მისცემს განიარაღების აღნიშნული ყოვლისმომცველი პროგრამის პრაქტიკულ განხორციელებას.

გულწრფელი პატივისცემით

ნ. ბულგანინი.

მის აღმატებულებას
დუაიტ დ. ეიზენჰაუერს,
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს,
ვაშინგტონი“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

ნ. ა. ბულგანინის წერილი

საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარის გი მოლეს

7 ივნისს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვმა ინახულა საფრანგეთის [illegible] მჯდომარე გი მოლე და გადასცა მას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი.

ქვემოთ ქვეყნდება აღნიშნული წერილის ტექსტი:

„მოსკოვი, კრემლი

1956 წლის 6 ივნისი.

პატივცემულო ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეო.

მოსკოვში ახლახან დამთავრებული საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების დროს ჩემს კოლეგებსა და მე გვქონდა ბედნიერი შესაძლებლობა გაგვეზიარებინა თქვენთვის და ბატონ პინოსათვის აზრები საერთაშორისო მდგომარეობის დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე და დავადგინეთ ის საკითხები, რომლებზედაც ორივე ქვეყნის მთავრობებს გვაქვს გულწრფელი მისწრაფება მივაღწიოთ ურთიერთსასურველ მიზნებს. ჩვენი მთავრობები უწინარეს ყოვლისა მივიდნენ დასკვნამდე, რომ სახელმწიფოების მეცადინეობა უნდა მოხმარდეს იმას, რომ შეწყდეს საომარი გამალებული შეიარაღება, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობის შენარჩუნებას და უდიდეს რესურსებს ართმევს მშვიდობიანი წარმოებისა და ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნებს. საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივ განცხადებაში ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა საჯაროდ გაგვეცხადებინა მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის წინაშე, თუ რა ძირითადობას ანიჭებს ორივე მთავრობა განიარაღების პრობლემას.

რა თქმა უნდა, განიარაღების საქმეში ხალხები დაინტერესებული არიან უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოთა პრაქტიკული მოქმედებით. ომის დამთავრებისთანავე ჩვენი ქვეყნები თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების მიღწევის გზების გასაძებნად. ორი წარსული მსოფლიო ომის მძიმე გაკვეთილები, რომლებმაც საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხებს, ისევე როგორც ევროპის ბევრი სხვა სახელმწიფოს ხალხებს, მიაყენა უდიდესი ზარალი და ნგრევა, ბუნებრივია მოითხოვდა ჩვენგან ღონისძიებათა მიღებას, რათა თავიდან აგვეცილებინა მესამე მსოფლიო ომის წარმოშობის შესაძლებლობა, რომელიც, მასობრივი მოსპობის ახალ სახეობათა იარაღის არსებობისას, გამოიწვევდა გაცილებით დიდ აურაცხელ უბედურებას მთელი კაცობრიობისათვის.

მაგრამ, როგორც თქვენ იცით, მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ, რაც 10 წელზე მეტია წარმოებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, დღემდე რეალური შედეგები არ მოჰყოლია.

ეს საჭიროს ხდის გამოვძებნოთ განიარაღების პრობლემის გადაჭრის ახალი გზები, რაც დიდად შეუწყობს ხელს სახელმწიფოების, მათ შორის ევროპის ქვეყნების თანამშრომლობის გაუმჯობესებას, რომელთა ხალხები სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებული იმით, რომ ევროპის კონტინენტი არ გახდეს ახალი, კიდევ უფრო სისხლისმღვრელი და გამანადგურებელი ომის ასპარეზი.

მოსკოვში მოლაპარაკების დროს ჩვენ შევძელით თქვენთან ერთად, ბატონო თავმჯდომარეო, აღგვენიშნა, რომ ახლა არის გარკვეული გაუმჯობესება საერთაშორისო მდგომარეობაში. ცივი ომი სულ უფრო მეტად უთმობს ადგილს საერთაშორისო მეგობრული კონტაქტების, მათ შორის ქვეყნების ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის კონტაქტების განვითარებას. ეს ქმნის უფრო ხელსაყრელ პირობებს შეიარაღების შემცირების ეფექტიანი და პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებისათვის.

ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ასეთ ღონისძიებათა განხორციელება უკვე ამჟამად, ისე რომ არ დაველოდოთ განიარაღების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების მიღწევას, ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვითარების შემდგომ გაუმჯობესებას, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას და ევროპის უშიშროების პრობლემის გადაჭრის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

სწორედ ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა საბჭოთა მთავრობა, როცა მიიღო გადაწყვეტილება თავისი შეიარაღებული ძალების ახალი მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ 1.200.000 კაცით, გარდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 640 ათასი კაცით შემცირებისა, რაც 1955 წელს განხორციელდა. შესაბამისად შემცირდება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ხარჯები სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით სამხედრო საჭიროებისათვის.

ამ გადაწყვეტილების შესაბამისად დაიშლება 63 დივიზია და ცალკეული ბრიგადები, მათ შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი 3 საავიაციო დივიზია და სხვა საბრძოლო ნაწილები, რომელთა რიცხვი 30 ათას კაცს აღემატება. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის, რომ გერმანიიდან აღნიშნული რაოდენობით საბჭოთა ჯარების გამოყვანა მთლიანად არ წყვეტს საკითხს. საბჭოთა მთავრობის ეს ღონისძიება მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მაგრამ ჩვენ ვემყარებით იმას, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები, რომელთაც ჯარები ჰყავთ გერმანიის ტერიტორიაზე, თავის მხრივ აგრეთვე მიიღებენ ღონისძიებებს გერმანიაში თავიანთი შეიარაღებული ძალების შესამცირებლად, ეს, უეჭველია, ნიადაგს მოამზადებდა უფრო გადამწყვეტი ნაბიჯებისათვის ამ საკითხში. ამასთან ჩვენ მხედველობაში გვაქვს, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა ასეთ ღონისძიებებს შეიძლება მოჰყვეს შეთანხმება გერმანიაში უცხოეთის შეიარაღებული ძალების რიცხვის მკვეთრი შემცირების შესახებ ან გერმანიის ტერიტორიიდან უცხოეთის შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ.

ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ საფრანგეთის მთავრობამ ჩვენს 19 მაისის ერთობლივ განცხადებაში აღიარა საბჭოთა მთავრობის 14 მაისის გადაწყვეტილების დიდი მნიშვნელობა.

მე ვფიქრობ, თქვენ, ბატონო თავმჯდომარეო, დამეთანხმებით, რომ განიარაღების პრობლემის გადაჭრაში მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ დიდ სახელმწიფოებს, და რომ საჭიროა ყველა მათ გამოიჩინონ თაოსნობა შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებაში. ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ დიდი სახელმწიფოების ასეთი ღონისძიებანი არსებითს დახმარებას გაგვიწევდნენ განიარაღების ყოვლისმომცველი პროგრამის შესახებ შეთანხმების მიღწევაში.

ჩემი კოლეგები და მე გამოვთქვამთ გულწრფელ იმედს, რომ საფრანგეთის მთავრობა მთელი ყურადღებით განიხილავს საბჭოთა მთავრობის თანდართულ 14 მაისის განცხადებას განიარაღების საკითხზე და თავის მხრივ შეიტანს საჭირო წვლილს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისა და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

გულწრფელი პატივისცემით

ნ. ბულგანინი.

მის აღმატებულებას
გი მოლეს,
საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა
საბჭოს თავმჯდომარეს
პარიზი“.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი სტუმრად ლენინგრადელ ენერგომანქანათმშენებლებთან

ლენინგრადი, 7 ივნისი. **(საკდესის სპეც. კორ.).** იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და იუგოსლავიის პრეზიდენტის თანმხლები პირები ეწვივნენ ს. მ. კიროვის სახელობის სამგზის ორდენოსან ქარხანა „ელექტროსილას“.

ათასობით მუშა მქუხარე ტაშით, „ვაშას“ შეძახილებით შეხვდა სტუმრებს.

ამხანაგები იოსიპ ბროზ ტიტო და ნ. ა. ბულგანინი შევიდნენ ტურბინგენერატორების საამქროში, სადაც აწყობენ უდიდეს მანქანებს ჩვენი ქვეყნის ახალშენებათათვის, თბოელექტროსადგურებისათვის, ასრულებენ უცხოელი მეგობრების შეკვეთებს. ამხანაგი ტიტო ეცნობა საწარმოო პროცესებს, ესაუბრება ინჟინრებს. მან, კერძოდ, ყურადღება მიაქცია ელექტროშედუღების სრულყოფილ მეთოდებს, რომლებსაც ქარხანაში იყენებენ. ჰიდროგენერატორების საამქროში სტუმრები გაეცნენ ვოლგის ჰიდროელექტროსადგურებისათვის განკუთვნილი უნიკალური მანქანების წარმოებას.

შემდეგ ქარხანაში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი. შეკრებილნი მქუხარე ტაშით ხვდებიან ტრიბუნაზე ამხანაგების იოსიპ ბროზ ტიტოს, ნ. ა. ბულგანინის, დ. ტ. შეპილოვის, ედვარდ კარდელის, კოჩა პოპოვიჩის, მიიალკო ტოდოროვიჩის, იაკობ ბლაჟევიჩისა და სხვა იუგოსლავი და საბჭოთა ამხანაგების გამოჩენას.

მიტინგი გახსნა ქარხკომის თავმჯდომარემ ბ. ს. გალახოვმა.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს ტურბინკორპუსის მღარველმა ნ. პ. ბოგდანოვმა და ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის მოადგილემ ა. ს. ერემეევმა.

ქალთა სახელით იუგოსლავ სტუმრებს გულთბილად მიესალმა დიდი მანქანების საამქროს მუშა ნ. ლ. მედვედევა.

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა.

მიტინგი დამთავრდა. სტუმრები ტოვებენ ქარხანას. მათ გულითადად მიაცილებენ.

პარტიული ცხოვრება

პარტიული ჯგუფები აძლიერებენ ორგანიზაციულ მუშაობას

სოციალისტური შეჯიბრების სათავეში

სოციალისტურ შეჯიბრებას უნარიანად ხელმძღვანელობს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს მე-3 და მე-6 ბრიგადების პარტიული ჯგუფი. მისი ინიციატივით მებრძმედეებმა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ვალდებულება იკისრეს თვენახევრის მანძილზე გეგმის გადამეტებით გამოედნოთ 200 ტონა თუჯი. მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად ეს ვალდებულება მათ ჯერ კიდევ იანვრის პირველ ნახევარში გაანაღდეს. პარტიულმა ჯგუფმა თავის კრებაზე შეაჯამა ორივე ბრიგადის მუშაობის შედეგები. კომუნისტებმა — ოსტატმა პ. იმედაშვილმა, მებრძმედე გ. ხმალაძემ, ჩამტვირთავმა მემანქანემ ვ. ბელაიამ და სხვებმა მოითხოვეს, რომ ბრიგადებს დამატებით აეღოთ ახალი ვალდებულება — გეგმის გადამეტებით გამოედნოთ 700 ტონა თუჯი. კომუნისტთა თაოსნობას მხარი დაუჭირა ცვლის ყველა მებრძმედემ, ხოლო შემდეგ საამქროს მთელმა კოლექტივმა, რომელმაც მე-3 და მე-6 ბრიგადების მაგალითისამებრ პირვანდელთან შედარებით ორნახევარჯერ გადიდებული საერთო ვალდებულება იკისრა.

იანვრის მეორე ნახევრიდან მე-3 ბრიგადამ მუშაობის ტემპი შეასუსტა. ნაკისრი ვალდებულების მთლიანად შესრულებას საფრთხე შეექმნა. ეს საკითხი მაშინვე გახდა პარტიული ჯგუფის კრების მსჯელობის საგანი. კრებაზე გამოირკვა, რომ ბრიგადის მუშაობის შეფერხების მიზეზი იყო ღუმელში კაზმის ჩატვირთვის ტექნოლოგიის დარღვევა, საკერძე მოწყობილობის, საკოქსე საკეტების გაუმართავი მუშაობა და სხვ. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის პარტიულმა ჯგუფმა ბრიგადის ყველა წევრი დარაზმა. ამან კარგი შედეგი გამოიღო: თებერვლის მაჩვენებლების მიხედვით მე-3 ბრიგადამ ბევრად გაუსწრო მე-6 ბრიგადას. ყრილობის გახსნის დღისათვის ორივე ბრიგადამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა იმაზე 8-ჯერ მეტი თუჯი, რაც ნაკისრი ჰქონდა პირვანდელი სოციალისტური ვალდებულებით. მიმდინარე წლის 5 თვეში კი ამავე ბრიგადებმა გეგმის გადამეტებით იმაზე გაცილებით მეტი თუჯი გამოადნეს, რაც სოციალისტური ვალდებულებით ნავარაუდევი იყო წლის განმავლობაში.

კომუნისტები განაზოგადებენ მოწინავეთა გამოცდილებას

წარმოებაში ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა რომ შრომითი წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, ამაში მეტალურგიული ქარხნის მილნამზადის საამქროს კომუნისტები თვით მუშაობის პრაქტიკამ დაარწმუნა. ამიტომ არის, რომ ამ საკითხს აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

საამქროში დგან 900-ზე უფროს ოპერატორად მუშაობს კ. კოკაია, რომელსაც შარშან ნოვატორული მუშაობისათვის საზეთოთა კავშირის საუკეთესო ოპერატორის საპატიო სახელწოდება მიეკუთვნა. შრომატევადი პროფილის თვითეული მილნამზადის გაგლინვას სხვა ოპერატორებისაგან განსხვავებით კოკაია ნახევარი წუთით ნაკლებ დროს ანდომებს და საათში 10-15-ით მეტ მილნამზადს გლინავს. ასეთ მაჩვენებლებს კოკაია იმით აღწევს, რომ შეთანხმებულად მუშაობს მანიპულატორთან და საამქროს დანარჩენ უბნებთან, ამჟიდროებს პაუზებს ძირითად ოპერაციებს შორის, იყენებს ე. წ. რევერსით გლინვის მეთოდს და საერთოდ გლინვის მთელ პროცესს რაციონალურად წარმართავს.

ცვლის პარტიულმა ჯგუფმა, რომლის ორგანიზატორია თ. აბაშიძე, გადაწყვიტა დანარჩენი ოპერატორებისათვის დეტალურად განემარტა კოკაიას მუშაობის მეთოდი. პარტიული ჯგუფის კრებაზე ნოვატორმა ოპერატორმა ცვლის მგლინავებს უამბო თავის გამოცდილებაზე. შემდეგ კი სამუშაო ადგილზე უშუალო დაკვირვებით მოეწყო პრაქტიკული სწავლება. ამ ღონისძიებამ კარგი შედეგი გამოიღო. ცვლა, რომელშიც კოკაია მუშაობს, წელს საამქროში ყველაზე მოწინავეა.

მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციისა და წარმოებაში დანერგვისათვის ნაყოფიერად მუშაობს აგრეთვე მგლინავთა მე-2 ცვლის პარტიული ჯგუფი (პარტჯგუფორგი ვ. ქადაგიძე). კომუნისტთა თაოსნობით ჯერ ცვლის, ხოლო შემდეგ საამქროს ყველა მგლინავის კუთვნილებად იქცა ნოვატორების — უფროსი მვალცავის ი. მაისურაძის, მანიპულატორ გ. გოგსაძის, უფროსი გამხურებლის პ. ბოტნევისა და ოპერატორ ზ. ლაზარევას გამოცდილება.

ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში

ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბეტონის ცენტრალური კომბინატის რკინაბეტონის საამქროს პარტიული ჯგუფი, რომელსაც სათავეში ლ. პერევერზნიკი უდგას.

ამას წინათ საამქრომ დაკვეთა მიიღო მახარაძის მტს-ისათვის სასწრაფოდ დაემზადებინა რკინაბეტონის გარაჟის დეტალების სრული კომპლექტი. პარტიული ჯგუფის კრებამ იმსჯელა დაკვეთის დროულად შესრულების საკითხზე. ლ. პერევერზნიკმა წინადადება წამოაყენა გარაჟის საკედლე ფილების დასამზადებლად განკუთვნილი ყალიბებიდან დაბეტონებისთანავე აეღოთ შიდა ყალიბი და ის პოლიგონზე შენაცვლებით გამოეყენებინათ დანარჩენი ფილების მისაღებად. ამ ღონისძიებამ საგრძნობლად დაიჩქარა ფილების წარმოება; დაახლოებით 40 პროცენტით შეამცირა მუშახელის რაოდენობა და ყალიბებისათვის ხე-ტყის ხარჯვა. ამავე საამქროს უფროსის კომუნისტ შ. კაციაშვილის წინადადებით რკინაბეტონის საძირკვლებისა და გარაჟის გადასახურავი ფილების დამზადება დაიწყეს ახალი ხერხით — პოლიგონზე ხის ყალიბთა შენაცვლებითი მოხმარებით, რამაც სულ მცირე 15 პროცენტით აამაღლა შრომის ნაყოფიერება. რკინაბეტონის კონსტრუქციების დამამზადებელ პოლიგონზე ე. წ. პორტალური ამწე, რასაც ბეტონის ნაკეთობათა გადასაზიდად იყენებენ, ნელა მოძრაობდა და წარმადობაც მცირე ჰქონდა. საამქროს მექანიკოსმა კომუნისტმა ნ. დოვიბორანმა ამწის მამოძრავებელ მოწყობილობას ორმხრივი რედუქტორები დაუყენა და ამით ამწის წარმადობა 1,5-ჯერ გაზარდა.

— ტექნიკური პროგრესის დარგში ცოტა როდი გვაქვს გაკეთებული, — ამბობს პარტჯგუფორგი ლ. პერევერზნიკი, — მაგრამ რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების დამზადების ტექნიკა ჩვენს ქვეყანაში ისეთი ნაბიჯით მიდის წინ, რომ როცა ჩვენ მიერ ამ დარგში მიღწეულს გადავხედავთ ხოლმე, ვრწმუნდებით — გასაკეთებელი უფრო მეტი დაგვრჩა. ჩვენი საამქროს უფროსმა ოსტატმა კომუნისტმა ი. სოფრომაძემ, რომელიც ამას წინათ ახალგაზრდა მშენებელთა საკავშირო თათბირის მონაწილედ ავირჩიეთ, მოსკოვსა და ხარკოვში დაათვალიერა მსხვილი სამშენებლო ობიექტები და განცვიფრებული დარჩა რკინაბეტონის ნაკეთობათა მაღალი ხარისხით. ამ მხრივ ჩვენ რამდენადმე მოვიკოჭლებთ.

კადრების ტექნიკური დონის ამაღლებისათვის

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ქალაქის ბევრმა პარტიულმა ჯგუფმა შესამჩნევად გააძლიერა მუშაობა კადრებთან, მუშა ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო და ტექნიკური ცოდნის ამაღლებისათვის. ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებებს აღწევს მეტალურგიული ქარხნის კოქსქიმიური საამქროს ნახშირგამამზადებელი განყოფილების პარტიული ჯგუფი (პარტჯგუფორგი ვ. რეშეტოვი). კომუნისტი ამხანაგების რჩევადარიგებით რამდენიმე მუშა მოეწყო მუშა ახალგაზრდობის სკოლაში, მეტალურგიული ტექნიკუმის დაუსწრებელ განყოფილებაზე. ბევრმა გამოთქვა ტექმინიმუმის კურსების გავლის, ტექნიკურ და ეკონომიურ თემებზე პოპულარული ლექციების მოსმენის სურვილი. ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, ცხადია, მარტო პარტიული ჯგუფი ვერ შეძლებდა, მას აქტიურად რომ არ დახმარებოდნენ საამქროს პარტბიურო, პროფკავშირის კომიტეტი და ადმინისტრაცია. მარტო წელს მემოტორეების, პულტმართვის ოპერატორების, ელექტრიკოსებისა და ზეინკლების კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, რომლებიც ნახშირგამამზადებელ განყოფილებასთან შეიქმნა, 56 კაცი ჩაება. ამასთან აქ ინდივიდუალური სწავლების პრაქტიკასაც მიმართავენ. გაბედულად აწინაურებენ ახალგაზრდა კადრებს. მაგალითად, კომუნისტი ვ. შუბითიძე ბრიგადირობიდან ცვლის უფროსად დაწინაურდა.

პარტიული ჯგუფები საწარმოთა ცხოვრებაში დიდ ძალას წარმოადგენენ. ამოცანა ის არის, რომ შემდგომ ავამაღლოთ მათი ბრძოლისუნარიანობა, ყოველმხრივ დავუჭიროთ მხარი მათს ძვირფას წამოწყებებს და პრაქტიკულად დავეხმაროთ მუშაობაში.

ზ. ბელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი

გალი. (საკ. კორ.). ამ დღეებში პარტიის რაიკომმა მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი. პირველ მეცადინეობაზე რაიკომის მდივანმა დ. გოგობიამ სემინარის მონაწილეებს მოუთხრო იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ.

თემაზე „პარტიულ-პოლიტიკურ და პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობანი მთავარია მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება“ მოხსენება გააკეთა რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ მ. გერგედავამ. მშრომელთა შორის იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების შესახებ საუბარი ჩაატარა რაიკომის პროპაგანდისტა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. მიქაიამ.

პარტორგანიზაციების მდივნებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება.

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის საქსოვმა ფაბრიკამ წარმატებით აითვისა ახალი სახის მარკიზეტის ქსოვის ტექნოლოგია. განსაკუთრებით ისახელა თავი მებუთე უბნის ოცდამეოთხე კომპლექტმა, რომელსაც ოსტატის თანაშემწე ირაკლი კენჭიაშვილი ხელმძღვანელობს. ამ კომპლექტის მიერ გამოშვებული პროდუქციის 99 პროცენტი პირველი ხარისხისაა. სურათზე: ი. კენჭიაშვილი უსნინის მოწინავე მქსოველს ე. ხუდოფნიკოვს, თუ რა უნდა გაკეთდეს ძაფის წყვეტიანობის შემცირებისათვის.

ფოტო შ. კუკულავასი.

★

155 ათასი წინიღა სეზონში

გორი. (საკ. კორ.). წარმატებით მიმდინარეობს ახალი სეზონი გორის რაიონის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურში. უკვე გამოჩეკილია 93.412 წიწილა, აქედან გორის რაიონის კოლმეურნეობებმა წაიყვანეს 40 ათასი, კასპის რაიონის კოლმეურნეობებმა 34 ათასი, დანარჩენი მიეყიდათ მუშა-მოსამსახურეებს და კოლმეურნეებს.

საინკუბატორო სადგური მიმდინარე სეზონში 155 ათას წიწილას გამოიყვანს.

მანქანა-დანადგარები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის

სამტრედია. (საკ. კორ.). მესამე თვეა, რაც საქართველოს ჩაის ტრესტის სამტრედიის მექანიკური ქარხნის კოლექტივი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაკვეთებზე მუშაობს. აქ მისთვის ამზადებენ ჩაის დამაორთქლებელ და გამაცივებელ აგრეგატებს, ტრანსპორტიორებს, საფერმენტაციო და როლერის მომსახურე ურიკებს და სხვა მანქანა-დანადგარებს.

საპატიო დაკვეთებზე მუშაობაში განსაკუთრებით გამოირჩევიან სპეციალისტთა ბრიგადა კომკავშირელი კონსტრუქტორის კ. თოფურიას, ზეინკლების რ. ლეჟავას, ა. ძაგანიას და ხარატ ი. კრავეცის შემადგენლობით.

მანქანა-დანადგარების დამზადება დამთავრდება და ისინი დანიშნულებისამებრ გაიგზავნება ივნისის ბოლოს.

მებოსტნეები კარგად შრომობენ

ცხაკაია. (საკ. კორ.). მევენახეობა-მებოსტნეობის ბრიგადას ძველი სენაკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში უნარიანად ხელმძღვანელობს კოლმეურნე ა. ჩიქოვანი. ბრიგადამ უკვე დაამთავრა ბაღჩეულ-ბოსტნეულის თესვა და რგვა. საკვები გოგრა დაითესა 3 ჰექტარზე, საზამთრო — 3 ჰექტარზე. დარგეს 20 ათასი ცალი პამიდორის ნერგი. ბევრია დარგული წიწაკა, ბადრიჯანი და სხვა ბოსტნეული.

მაღალნაყოფიერად შრომობენ ბრიგადის წევრები ს. და თ. დავითაიები, ვ. გიგიბერია, მ. ნემსაძე, ნ. რუსია და სხვები.

დაიწყო ყაზანლიყის ვარდის კრეფა

თელავი. (საკ. კორ.). მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს გაშენებული ყაზანლიყის ვარდის პლანტაციებიდან კოლმეურნეობები დიდ შემოსავალს იღებენ. პლანტაციებს მზრუნველობა არ აკლია.

ყაზანლიყის ვარდის კრეფა პირველმა დაიწყო სანიორის კოლმეურნეობა „პირველმა მაისმა“. სანიორელებმა ნაფარეულის ეთერზეთოვან ქარხანას პირველი ორი ტონა ვარდი ჩააბარეს. ვარდის ჩაბარება დაიწყეს აგრეთვე ჯულაანის, ნაფარეულის და სხვა კოლმეურნეობებმა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

როგორც საბჭოთა პრესა უკვე იუწყებოდა, შვეციის, დანიისა და ნორვეგიის მთავრობებმა მოსკოვში თავიანთი ელჩების საშუალებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცეს მიწვევა ესტუმრონ შვეციას, დანიასა და ნორვეგიას 1957 წლის პირველ ნახევარში.

7 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. ა. გრომიკომ მიიღო შვეციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რ. სულმანი, დანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პ. ქრაკი და ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ე. ბროდლანდი და აცნობა მათ, რომ ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობით მიიღეს ეს მიწვევა.

საბჭოთა მხრივ გამოითქვა სურვილი, რომ ამ გამგზავრების კონკრეტული თარიღი, აგრეთვე იქ ყოფნის ვადა და პროგრამა განხილულ იქნას მოგვიანებით დიპლომატიური წესით.

კოლმეურნეობის ხვალინდელი დღე

ლამაზი სოფელია ნაგვაზაო. იგი გეგეჭკორის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთით ხუთიოდე კილომეტრ მანძილზე მდებარეობს.

გამრჯე ხელი ატყვია აქ ყველაფერს. ღამღამობით სოფელი ნაგვაზაო ალიჩის ნათურებით არის გაჩირაღდნებული. ამ სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა უკანასკნელ წლებში ძრავალდარგიან და მაღალშემოსავლიან მეურნეობად გადაიქცა. გაიზარდა მინდვრების ნაყოფიერება, საზოგადებრივი პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა. ამაში სერიოზული დამსახურება მიუძღვის საკოლმეურნეო წარმოების კარგ ორგანიზატორს, ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. სურმავას.

1950 წელს შეიქმნა ნაგვაზაოს გამსხვილებული კოლმეურნეობა სამი წვრილი სასოფლო-სამეურნეო არტელის ბაზაზე. ორი წლის შემდეგ კოლმეურნეებმა თავმჯდომარედ აირჩიეს ამ სოფლის მკვიდრი, უმაღლესი განათლების მქონე გ. სურმავა.

ახალმა თავმჯდომარემ ბეჯითად მოჰკიდა ხელი საქმეს, ღრმად შეისწავლა საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკა, კადრები. მან მუშაობა მოწინავე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისაგან გამოცდილების გადმოღებით დაიწყო. ბრიგადირებად, მერგოლურებად და მეცხოველეობის ფერმის მუშაკებად საკმაოდ მცოდნე და ენერგიული პირები შეარჩია.

ადამიანს საქმე გამოაჩენს. თუ თვალს გადავავლებთ ამ უკანასკნელი წლების განძილზე გაწეულ მუშაობას, დავინახავთ, რომ ნაგვაზაოელები წარმატების ფაროო გზას დაადგნენ. ეს საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობაზეც აღინიშნა. თუ 1952 წელს 150 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 2 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 400 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 8 ცენტნერი სიმინდი და ერთ საფურაქე ძროხაზე — 200 ლიტრი რძე, შარშან ეს ციფრები საგრძნობლად გადიდდა. ჰექტარზე მიიღეს 4.200 კილოგრამი ჩაის ნედლეული, სამჯერ გაზარდეს სიმინდის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, ხოლო თვითეულ საფურაქე ძროხაზე წველადობის წლიურ გეგმას 174 ლიტრით გადააჭარბეს.

მოსავლიანობის ზრდასთან ერთად გაიზარდა შრომადღის ღირებულებაც. შრომადღეზე თვითეულ კოლმეურნეს ერგო 4 კილოგრამი მარცვლეული და ფულად 18 მანეთი. წინათ კი ამის მეოთხედიც არ იყო. თუ 1952 წელს თვითეულ ჰექტარზე ფულადი შემოსავალი 9 ათასი მანეთი იყო, შარშან მან 23.560 მანეთს მიაღწია.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდამ კოლმეურნეობას საშუალება მისცა გაეიდიდებინა ყველა სახის პირუტყვის სულადობა და მნიშვნელოვნად აემაღლებინა მისი პროდუქტიულობა. ახლა ფერმაში 470 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვია, მაშინ როცა პერსპექტიული გეგმით 1960 წლისათვის უნდა ჰყავდეთ 450 სული პირუტყვი. კოლმეურნეობამ მთლიანად შეასრულა ძროხის სულადობის 1960 წლის გეგმა.

მეცხოველეობაში ახალი სამეურნეო წელი უკეთესი მაჩვენებლებით დაიწყო. შვიდ თვეში წველადობის 10 თვის გეგმა გაანაღდეს. ასეთი წარმატება პირველ რიგში იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობამ საკვების მომარაგებისათვის იზრუნა. პირუტყვის საკვებად ფართოდ იყენებენ ბალახებს, სასილოსე კულტურებს, ძირხვენებს. თვითეულ ძროხაზე 6 ტონამდე სილოსი ჩადეს.

ზაფხულის პერიოდში მეწველი ძროხებისათვის ყოველწლიურად 20 ჰექტარზე თესავენ შემოდგომის ქერს და ამით პირუტყვის საკვებად ქმნიან მწვანე კონვეიერს. საშემოდგომო ქერით მეწველი ძროხების კვებას იწყებენ მაისის მეორე ნახევარში, როცა კოლმეურნეობას სილოსი უთავდება. ამ გზით ძროხა ზაფხულის განმავლობაში უხვად იღებს ნორჩ მწვანე მასას.

კოლმეურნეობას აქვს ახლად მოწყობილი ფერმა. აქ საკვების შემზადება, წყალმომარაგება, ფერმის შიგნით საკვების ბაგებთან მიტანა და ნაკელის გაზიდვა მექანიზებულია.

შრომატევადი პროცესების მექანიზაციამ უდიდესი სარგებლობა მოუტანა კოლმეურნეობას. მარტო ავტორწყურლებით სულ ცოტა 8-10 პროცენტით გაადიდეს წველადობა. ფერმაში შრომატევად სამუშაოთა სრულმა მექანიზაციამ ფულადი გამოხატულებით დაახლოებით 150.000 მანეთი ეკონომია მისცა კოლმეურნეობას.

კოლმეურნეობაში უკანასკნელ წლებში პრაქტიკულად დარწმუნდნენ, რომ კამეჩების მოშენება ხელსაყრელი და სასარგებლოა. მაგალითად, თუ ერთი ძროხის შენახვა წელიწადში საშუალოდ 2.800 მანეთი დაუჯდათ, თვითეული ფურკამეჩის მოვლა-შენახვა 1.900 მანეთამდე დაჯდა. თუ ერთი კილოგრამი ყველის დასამზადებლად მაისში ძროხის 10 ლიტრი რძე დასჭირდათ, კამეჩის ამდენივე რძიდან მიიღეს 2 კილოგრამი, ამასთან უკეთესი ხარისხის ყველი. ამ ფაქტის ახსნა იმით შეიძლება, რომ კამეჩის რძეს მაღალი ცხიმიანობა ახასიათებს. გარდა ამისა, კარგი მოვლის პირობებში კამეჩი იშვიათად ავადდება, ძროხებისათვის გამოუსადეგარ უხეშ საკვებს ჭამს.

აქაური მეცხოველეები დარწმუნდნენ, რომ აქ დანერგილი წესი — ძროხების სამჯერ და ოთხჯერ წველა ეკონომიურად ხელსაყრელი არ არის, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ მეორეჯერ წველა წარმოებს იმ დროს, როცა ძროხა საკვებს იღებს, რაც პირუტყვის ნერვიულობას იწვევს და რძის რაოდენობას ამცირებს. გარდა ამისა, სამჯერ წველა უფრო ძვირი ჯდება და რძის ცხიმიანობაზე მოქმედებს. ორჯერ წველა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პირუტყვის მოვლის პირობებს.

უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობაში მცირდება დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე. 1955 წელს გეგმით უნდა დახარჯულიყო 132 ათასი შრომადღე, ფაქტიურად დაიხარჯა 80 ათასი. ეკონომია გამოწვეულია სამუშაოთა ხარისხოვნად შესრულებით, ხელით შრომის შემცირებით. მარტო მეცხოველეობაში ამავე წელს მხოლოდ 16.776 შრომადღე დახარჯეს, ხოლო მიიღეს 115 ათასი მანეთი შემოსავალი.

კოლმეურნეობას მრავალი მოწინავე ადამიანი ჰყავს. ერთ-ერთი მათგანია 70 წლის ერასტი ჯღარკავა, რომელიც 1917 წლიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია. მიუხედავად მოხუცებულობისა, მან შარშან 150 შრომადღე გამოიმუშავა. მისი შვილი ვალერიანი მეორე ბრიგადას ხელმძღვანელობს. გასულ წელს ბრიგადამ 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 5.100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 ათასი კილოგრამისა.

ერასტის ოჯახმა (სამი კაცის შემადგენლობით) შარშან 1.050 შრომადღე გამოიმუშავა, კოლმეურნეობიდან მიიღო 26.000 კილოგრამი მარცვალი და 20.000 მანეთი ფულად.

კოლმეურნეობის წარმატებანი უეჭველია, მაგრამ აქ როდი აპირებენ დასჯერდნენ მიღწეულს. პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებმა შემოქმედებითი ენერგიისა და ინიციატივის ახალი აღმავლობა გამოიწვია კოლმეურნეთა შორის.

ამას წინათ კოლმეურნეობის გამგეობამ პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად გადაწყვიტა: მეექვსე ხუთწლიანი გეგმის პირველ წელს 150 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 5.300 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.000 კილოგრამისა, 462 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 30 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 22 ცენტნერისა, ერთ ძროხაზე — 1.350, ხოლო ფურკამეჩზე — 1.400 ლიტრი რძე და პერსპექტიული გეგმით 1960 წლისათვის გათვალისწინებული წველადობა წელსვე შეასრულოს.

კოლმეურნეებს მიაჩნიათ, რომ ხორცის წარმოების გადიდების მთავარი რეზერვია მეღორეობა. ამიტომ გადაწყვიტეს ყოველ 100 ჰექტარ ნახნავზე მიიღონ სულ ცოტა 20 ცენტნერი ღორის ხორცი. გათვალისწინებული აქვთ აგრეთვე ერთჯერადი დედაღორების დაგოჭიანებისათვის ააშენონ გამარტივებული ტიპის ბანაკი და გასასუქებელი მოედანი, მთელი წლის განმავლობაში ღორების გასუქება მოაწყონ ამ მარტივ, იაფ ნაგებობაში, წელსვე შემოიღონ კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემა, რაც შრომის ნაყოფიერების გადიდების დიდმნიშვნელოვანი სტიმულია.

ნაგვაზაოელ კოლმეურნეებს დიდი შემოქმედებითი შრომის წელიწადი დაუდგათ. დაითესა სიმინდი. ნათესები კარგადაა აღმოცენებული. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა და სხვა სამუშაოები.

ნაგვაზაოელი კოლმეურნეების შემოქმედებითი ცხოვრების ურყევი კანონია: იმუშაონ დღეს უკეთესად, ვიდრე გუშინ, ხვალ კიდევ უკეთესად!

შ. ჭოჭუა,
ბ. მილიუტინი.

სიმინდის მეორე კულტივაცია



მცხეთის რაიონის სოფელ ძველი ქანდის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა სიმინდს. შარშან კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 52,4 ცენტნერი სიმინდი, დასილოსა 300 ტონა სიმინდის მასა. ამან საშუალება მისცა აქაურ მეცხოველეებს წარმატებით გამოეზამთრებინათ პირუტყვი და გაეიდიდებინათ წველადობა. საკმარისია ითქვას, რომ შარშან საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 630 ლიტრით მეტი რძე, ვიდრე წინა წელს.

წელს კოლმეურნეობაში დათესილია 110 ჰექტარი სიმინდი. კოლმეურნეები ვარაუდობენ ჰექტარზე მიიღონ 60 ცენტნერი სიმინდი. დასილოსებული იქნება 500 ტონაზე მეტი სიმინდის მწვანე მასა.

ჯერ კიდევ თესვის პერიოდში მექანიზატორებმა მოამზადეს მანქანები კულტივაციის ჩასატარებლად. „ხტზ-7“ მარკის სამ ტრაქტორს გაუკეთეს საამისო მოწყობილობა. ახლა მოწინავე ტრაქტორისტები თ. გაბარაშვილი და რ. მელაძე წარმატებით ასრულებენ მეორე კულტივაციას.

სურათზე: სიმინდის ნათესების მეორე კულტივაცია მცხეთის რაიონის სოფელ ძველი ქანდის კოლმეურნეობის პირველ ბრიგადაში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

როგორ აამაღლეს მაღაროში შრომის ნაყოფიერება

შრომის ნაყოფიერების ზრდის, რეზერვების გამოვლინებისა და მათი ფარართოდ გამოყენებისათვის სერიოზულ მუშაობას ეწევა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც სისტემატურად და განუხრელად აუმჯობესებს მუშაობას, ზრდის წარმოების მოცულობას და გადაჭარბებით ასრულებს სსაქონლო მარგანეცის მადნის მოპოვების სადღეღამისო დავალებებს.

უბნებში და ცვლებში მუშახელის განაწილების სწორმა ორგანიზაციამ, მოცდენების მოსპობამ, აგრეთვე მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებამ დიდად შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების ზრდას.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ტექნიკური პროგრესის დარგში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მაღაროს კოლექტივი ახლა ამზადებს 35 პროცენტით მეტ სასაქონლო მარგანეცის მადანს, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ამ მაღაროს საპროექტო სიმძლავრით. 1950 წლის დონესთან შედარებით 1955 წელს შრომის ნაყოფიერება მადნის გამოღებაზე გაიზარდა 79,8 პროცენტით, ხოლო მადნის გამდიდრებაზე — ორჯერ და უფრო მეტად.

მარგანეცის მრეწველობის მუშაკთა ამოცანაა წარმატებით დააკმაყოფილონ ჩვენი ქვეყნის მეტალურგიის მზარდი მოთხოვნილება მაღალხარისხოვან მარგანეცის მადანზე. ამ ამოცანის შესასრულებლად ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი ცდილობს ყველა ღონისძიებით დააჩქაროს ტექნიკური პროგრესი, მიაღწიოს შრომის ნაყოფიერების მკვეთრ ზრდას. წელს პირველ კვარტალში სსაქონლო მარგანეცის მადნის დამზადების სახელმწიფო გეგმა მაღარომ 108 პროცენტით შეასრულა, ხოლო შრომის ნაყოფიერების გეგმა — 101,2 პროცენტით. გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით სსაქონლო მარგანეცის მადნის დამზადება გადიდებულია 20,9 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 9,6 პროცენტით.

სახელმწიფო გეგმის ასეთი წარმატებით შესრულება წარმოების და შრომის სწორი ორგანიზაციის, საწარმოო პროცესთა გაფართოების, სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების და ნოვატორული გამოცდილების ფართოდ გავრცელების შედეგია. გასულ წელს მაღაროში დავნერგეთ ამოსაღები ველის ორმაგი სპირაჯოებით დამუშავების მეთოდი. თუ წინათ სპირაჯოს სანგრევი ადგილის სიგრძე 5 მეტრს შეადგენდა, რაც ერიოზულად აბრკოლებდა სანგრევებში მომუშავეთა შრომის ნაყოფიერების ზრდას, ყველა საწარმოო უბანზე ველის ორმაგი სპირაჯოებით დამუშავების მეთოდი შემოვიღეთ. ამან ხელი შეუწყო მტვირთავი მექანიზმების სრული სიმძლავრით გამოყენებას და მაღაროელების შრომის ნაყოფიერების ზრდას. მაღაროში ახლა მთლიანად მექანიზებულია მადნის მონგრევა და ტრანსპორტირება, მექანიზმებით სრულდება აგრეთვე მძიმე და შრომატევადი სამუშაო — სანგრევებში მადნის ვაგონეტებზე დატვირთვა. ამჟამად მაღაროში 9 მექანიზებული სასკრეპერო ლავი მუშაობს.

ნოვატორების თაოსნობა მიმართულია შრომის ნაყოფიერების განუხრელი აღმავლობისაკენ; მაღაროში დღითიდღე იზრდება ნოვატორთა რიგები, უფრო ფართოდ ვრცელდება მოწინავეთა გამოცდილება. მასობრივად არის გავრცელებული შპურების დაბურღვა ნოვატორი მბურღავის გ. თოდაძის მეთოდით. წარმოების ამ ნოვატორმა სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებით და შრომის სწორი მოწყობით ბურღვის ცალკეულ ოპერაციებზე ნორმალური სამუშაო დრო შეამცირა: სამუშაო ადგილის დათვალიერებისა და მისი სრულ წესრიგზე მოყვანისა — 32,6 პროცენტით, სანგრევზე საბურღი მანქანის გამართვისა — 30,9 პროცენტით, შპურების გაბურღვისა — 38,9 პროცენტით, ხოლო შპურების ამოწმენდისა — 8,1 პროცენტით. ამჟამად მაღაროში ყველა მბურღავი ნოვატორ გ. თოდაძის მეთოდით მუშაობს. მასობრივად დაინერგეთ აგრეთვე მტვირთავი მანქანის მემანქანის ნოვატორ ი. სამხარაძის მუშაობის მეთოდი.

მთელ ჭიათურაში გაითქვა სახელი ნოვატორმა მექანიკოსმა შ. ბუხრაშვილმა, რომელიც მრავალი გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. მაღაროში ახლა წარმატებით ვიყენებთ შ. ბუხრაშვილის კონსტრუქციის ბიგის გამოსატაცებელ ჯალამბარს. ამ ჯალამბრით სპირაჯოებში დადგმულ ბიგებს მთლიანად ვიღებთ და მათ სანგრევების გამაგრებაზე განმეორებით ვიყენებთ. შ. ბუხრაშვილის კონსტრუქციის ჯალამბრის გამოყენებით დაამზადა გამჭიმავი დაზგა, რომლითაც ფურცლოვანი ფოლადის ნარჩენებიდან აკეთებენ 10, 12 და 16-მილიმეტრიან მილებს ლითონის საწოლებისათვის. ამან დიდად შეუწყო ხელი საწარმოს შეუფერხებელ მუშაობას, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. საქსოვ-სატრიკოტაჟო ფაბრიკის სპეციალისტებმა, ინჟინერ ი. კოხრეიძის ხელმძღვანელობით, წყობილეზიდან გამოსულ წინდისსაქსოვ სამანქანას შეუცვალეს კონსტრუქცია. ახლა ეს მანქანები, რომლებზეც მამაკაცის წინდები იქსოვება. მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევიან.

ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებაში აქტიურად მონაწილეობს საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის მუდმივი კომისია (თავმჯდომარე გ. დალაქიშვილი). კომისიამ დეპუტატების ა. მაჭარაძის, ნ. ნარეშელაშვილის, შ. ბელეშაძის, აქტივისტების შ. თადუმაძის, ჟ. ხაზარაძის მონაწილეობით შეისწავლა და საქალაქო საბჭოს განსაკუთრებულად მოამზადა ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, რიტმული მუშაობის საკითხები. არც ისე დიდი ხანია, რაც კომისიის წევრმა ვ. გეგელიამ დააყენა საყურადღებო საკითხი: ტყავფეხსაცმლის კომბინატის ნარჩენების ბაზაზე სამრეწველო კომბინატის ქიმიურ ქარხანას აეთვისებინა საოჯახო საპნის გამოშვება. საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მხარი დაუჭირა ამ თაოსნობას და ამჟამად აღნიშნული საწარმო ყოველთვიურად 10-12 ტონა მაღალხარისხოვან საპონს უშვებს.

კომბინატის საწარმოებში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. მათ მიმდინარე წლის 5 თვის გეგმა 25 მაისისათვის 110,7 პროცენტით შეასრულეს.

ქუთაისის სამრეწველო კომბინატის წინაშე პასუხსაგები ამოცანები დგას, მან თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების საქმეში. ამ მიზნით მიმდინარეობს ახალი მშენებლობანი და საწარმოთა გაფართოება-რეკონსტრუქცია.

უკვე დაწყებულია მექანიკური ქარხნის გაფართოება-რეკონსტრუქცია. ქარხანაში დამონტაჟებული იქნება ახალი გაუმჯობესებული მანქანა-დანადგარები. 1958 წლისათვის ქარხანამ 7-8-ჯერ მეტი პროდუქცია უნდა მოგვცეს, ვიდრე ახლა იძლევა.

დაწყებულია და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დამთავრდება აგურის მექანიზებული ქარხნის მშენებლობა. იგი ყოველწლიურად გამოუშვებს სამნახევარ მილიონ ცალ აგურს. ამავე ქარხანასთან 1956-1957 წლებში აშენდება მუშათა საცხოვრებელი სახლი. მიმდინარე წლის მეორე ნახევარში დაიწყება და მომავალ წელს უნდა დამთავრდეს ტყავის გადამამუშავებელი ქარხნის, წიდა-ბეტონის დამამზადებელი საწარმოს და ავტოსარემონტო ტექნიკური პროფილაქტიკის სადგურის მშენებლობა.

ქალაქის სამრეწველო კომბინატის სიმძლავრის გასაადიდებლად დასახულია აგრეთვე მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი. მათი განხორციელების შედეგად სახალხო მოხმარების საგნების გამოშვება საგრძნობლად გაიზრდება. თუ კომბინატი ამჟამად ამზადებს 30 მილიონი მანეთის პროდუქციას, მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 100 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

სწორი არ იქნება არ დავინახოთ საწარმოთა მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა გამოსწორება მოითხოვს მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას, საქალაქო საბჭოს ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებას. ქალაქის სამრეწველო კომბინატის ზოგიერთი საწარმო არარიტმულად მუშაობს. იერიმობანა უმთავრესად თავს იჩენს ნედლეულისა და დამზმარე მასალების მიუწოდებლობისა და უყაირათო მუშაობის შედეგად. მაგალითად, ქიმიური ქარხანა, საშენ მასალათა და საავეჯო ხის დამმუშავებელი საწარმოები თვიურ დავალებას ძირითადად მესანე დეკადაში ასრულებენ. ეს კი იწვევს აჩქარებას, დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას. ამიტომ არის, რომ ამ საწარმოების მიერ დამზადებული აგურის, კრამიტის, პირსაბნების, ქიმიკატების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. ამ საკითხზე იმსჯელა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, მაგრამ ვინაიდან მიღებული დადგენილების შესრულებისათვის სათანადოდ ვერ ვიზრუნეთ, ნაკლოვანებანი კვლავ გრძელდება.

ზოგიერთი საწარმოს დირექტორი შეეგუა გეგმის სისტემატურად შეუსრულებლობას, განსაკუთრებით ნომენკლატურის მიხედვით, გადახარჯვებს. სამრეწველო კომბინატის საშენ მასალათა წარმოებამ (დირექტორი ი. გრძელიძე, მთავარი ინჟინერი ა. დოქვირი) 1955 წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა მხოლოდ 95 პროცენტით შეასრულა. დაგეგმილი ათი სახის პროდუქციიდან წლიური გეგმა შეასრულა მხოლოდ ოთხ სახეში. წარმოების ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო აგურის, კრამიტის, კანალიზაციის მილების, სამშენებლო სილის, ქვის დახერხვისა და მოზაიკის დამზადების 1955 წლის გეგმების შესრულება, ამასთან დაუშვა ხელფასის ფონდის გადახარჯვა 76 ათასი მანეთით, დაგროვების გეგმის შესრულებას დააკლო 50 ათასი მანეთი, ყოველი ათასი ცალი აგურის გამოშვებაზე გადახარჯა 16 მანეთი.

ანალოგიური მდგომარეობაა სამრეწველო კომბინატის ქიმიურ ქარხანაში (დირექტორი ი. ლელაძე, წარმოების ხელმძღვანელი გ. ქათამაძე). აქ 1955 წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა მხოლოდ 81,9 პროცენტით შესრულდა.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სპეციალურად შეისწავლა აღნიშნული საწარმოს მუშაობა და დასახა ღონისძიებები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, გამოჰყო დეპუტატების ჯგუფი შ. ლომთათაძის, ვ. ბაქრაძის და ვ. აბულაძის შემადგენლობით, რომლებიც კონკრეტულად დაეხმარნენ აღნიშნულ საწარმოს. წელს ქარხანამ მნიშვნელოვნად გამოასწორა მუშაობა.

ქალაქის სამრეწველო კომბინატის საწარმოები ჯერ კიდევ ჩამორჩებიან ტექნიკური პროგრესის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვის საქმეში. კომბინატში არსებული მანქანა-დანადგარების 60-65 პროცენტი მოძველებული და დაბალნაყოფიერია, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე კომბინატის 78 სპეციალისტიდან კვალიფიკაცია აიმაღლა მხოლოდ 14 კაცმა, სპეციალისტები სუსტად ეუფლებიან ტექნიკურ ცოდნას.

ნაკლოვანებები გაცილებით მცირე იქნებოდა, საქალაქო საბჭო და მისი აღმასკომი უფრო გულისხმიერად რომ ეხმაურებოდეს შემოსულ სიგნალებს. ქალაქში დიდი მოთხოვნილებაა სამშენებლო წებოზე. სამრეწველო კომბინატში ადგილობრივი ნარჩენების ბაზაზე დაიწყეს წებოს გამოშვება, მაგრამ შემდეგ რატომღაც შეწყვიტეს. ამის შესახებ ადგილობრივი მრეწველობის მუდმივმა კომისიამ მოგვცა სიგნალი, მაგრამ იგი ყურადღებოდ დარჩა. ასევე გამოხმაურება ვერ ჰპოვა კომბინატის საწარმოების ახალგაზრდა კადრებით შევსების შესახებ შემოსულმა წინადადებამ.

ამას წინათ ადგილობრივი მრეწველობის მუშაობის საკითხი განიხილა საქალაქო საბჭოს სესიამ. ახლა გაჩაღებულია მუშაობა სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად.

ნაკლოვანებათა გამოსწორებაში მეტი დახმარება უნდა გაგვიწიოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ. იგი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს საწარმოების მომარაგებას ძირითადი და დამხმარე მასალით. ხშირად საწარმოები მოცდენილია ბამბის ნართის, საღებავების, ქიმიკატების მოუწოდებლობის გამო.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი და მისი აქტივი, პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, კიდევ უფრო გააძლიერებენ ხელმძღვანელობასა და დახმარებას ქალაქის სამრეწველო კომბინატის საწარმოებისადმი, უზრუნველყოფენ ნაკლოვანებების უმოკლეს ვადაში აღმოფხვრას და მიაღწევენ მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებას.

ვ. ვადაჭკორია,

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ლიტერატურა და ხელოვნება

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის გამოფენა

მრავალი დამთვალიერებელი მიდის ამ დღეებში ლიტერატურის მუზეუმში, სადაც გაიხსნა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის მუდმივი გამოფენა.

გამოფენის პირველი დარბაზი ზოგადად ასახავს ქართული ლიტერატურის ისტორიას.

მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის გამოფენა იწყება რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ჩვენებით. ყურადღებას იპყრობს სტენდი, რომელიც ასახავს ამ ურთიერთობის ისტორიის დასაწყისს. ამავე განყოფილებაში მოთავსებულ ექსპონატებს შორის აღსანიშნავია ერეკლე II-ის პირადი ნივთი — პატარა ყუთი, რომელიც მას საჩუქრად გამოუგზავნა რუსეთის მეფემ ეკატერინე II-მ. საინტერესო მასალებია განყოფილებაში, რომელიც ეხება რუს და ქართველ მოღვაწეთა შეხედულებებს რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ. შემდეგი სტენდი ასახავს მე-19 საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოს კულტურული ცხოვრების ისტორიას.

ქართველ რომანტიკოს მწერალთა ჩვენება იწყება ა. ჭავჭავაძის სტენდით. გამოფენაზე მრავლად არის წარმოდგენილი პოეტის ახლო ნათესავებისა და მეგობრების ფოტოსურათები, ლიტერატურული მოღვაწეობის ამსახველი მხატვრული ნაწარმოებები, ხელნაწერების ფოტოპირები. ყურადღებას იპყრობს ა. ჭავჭავაძის პირადი ნივთი — მუსიკალური ინსტრუმენტი. ამავე განყოფილებაში მოთავსებულია გრიბოედოვის ნივთები — საწერი მოწყობილობა, რომელიც მან ირანიდან გამოუგზავნა თავის მეუღლეს ნინო ჭავჭავაძეს.

გრიგოლ ორბელიანის სტენდი ასახავს პოეტის ლიტერატურულ მოღვაწეობას. ექსპონირებულია მისი პატრიოტული ნაწარმოებების ილუსტრაციები.

მრავალფეროვანი მასალებია წარმოდგენილი ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის სტენდზე. პოეტის გვარის გენეალოგიასთან ერთად მოცემულია მისი ნათესავ-მეგობრების ფოტოსურათები, აქვეა პოეტის ნივთები — სურა, აზარფეშა, შარფი, რომელიც მან გამოუგზავნა თავის დას გაინჯაში მუშაობის დროს, პატარა ოთხკუთხი სათამაშო მაგიდა, რომელიც მოტანილია გეორგ ბუკეიაშვილის ოჯახიდან. ამ მაგიდაზე შეუქმნია დიდ პოეტს არაერთი შესანიშნავი ლექსი.

გამოფენის შემდეგი სტენდები ასახავენ ვახტანგ ორბელიანის, დიმიტრი ყიფიანის, მ. თუმანიშვილის, სოლომონ რაზმაძის, გრ. რჩეულიშვილის ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ქართული დრამატურგიის ჩვენება იწყება გ. ერისთავის სტენდით. აქ ფართოდ არის წარმოდგენილი ერისთავის მოღვაწეობა ქართულ თეატრში და ყურნალ „ცისკარში“. მომდევნო სტენდი მთლიანად დათმობილი აქვს ცნობილ კომედიოგრაფ ზურაბ ანტონოვს. გამოფენაზე ექსპონირებულია მისი კომედიების გმირთა როლების შემსრულებლებისა და დამდგმელი რეჟისორების ფოტოსურათები.

დამთვალიერებლები დიდხანს ჩერდებიან დ. ჭონქაძის, ლ. არდაზიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ სტენდებთან.

შედარებით ფართოდ არის წარმოდგენილი ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ლიტერატურული მოღვაწეობის ამსახველი მასალები. სტენდები დაყოფილია სხვადასხვა განყოფილებებად, რომლებიც დამთვალიერებლებს მოუთხრობენ მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეული პერიოდების შესახებ.

ასევე კარგად არის წარმოდგენილი ა. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ვაჟას ძმების — ბაჩანა და თედო რაზიკაშვილების ლიტერატურული მოღვაწეობა.

მომდევნო სტენდები ასახავენ ი. მაჩაბლის, დ. ერისთავის, ნ. ნიკოლაძის, ა. ფურცელაძის, ხალხოსანი მწერლების ე. გაბაშვილის, ნ. ლომოურის, ს. მგალობლიშვილის ლიტერატურულ მოღვაწეობას.

გამოფენაზე შედარებით მკრთალად არის წარმოდგენილი გ. წერეთლის, ვ. ბარნოვის, დ. კლდიაშვილის, ე. ნინოშვილის, შ. არაგვისპირელის ლიტერატურული მოღვაწეობის ამსახველი მასალები.

ლ. ხუგულური.

* * *

სურათზე: ექსკურსიამძღოლი ნ. ჩიხლაძე (მარცხნიდან მესამე) ესაუბრება გამოფენის დამთვალიერებელთა ჯგუფს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ახალი წიგნები

გ. მერკვილაძე — პოეზია და ხალხი (ქართული საბჭოთა პოეზიის ძირითადი მოტივები), სახელგამი. თბილისი, 1956 წ. გვ. 204, ტირაჟი 5.000, ფასი 4 მან. 50 კაპ.

აპ. ცანავა — ქართული მუშათა რევოლუციური პოეზია 1905-1907 წლებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1956 წ., გვ. 39, ტირაჟი 3.000, ფასი 50 კაპ.

შ. ძიძიგური — ქართული ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდიური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1956 წ., გვ. 144, ტირაჟი 2.000, ფასი 2 მან. 80 კაპ.

მომავალ მსახიობებთან

საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტებმა განახორციელეს ორი საგიპლომო სპექტაკლის — ა. ცაგარლის „ცომბირელის“ (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კ. პატარაიძის ჯგუფი) და პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწილის“ (პროფესორ ა. ვასაძის ჯგუფი) დადგმა.

ამჟამად თეატრალურ ინსტიტუტში მიმდინარეობს საგამოცდო სესიები. წელს ინსტიტუტი რესპუბლიკის თეატრებს მისცემს 27 ახალგაზრდა მსახიობს და 10 რეჟისორს.

რამდენიმე დიპლომანტმა რეჟისორმა პერიფერიის თეატრებში უკვე განახორციელა საგიპლომო სპექტაკლის დადგმა. ლ. ვარსიმაშვილმა ჭიათურის თეატრში დადგა ი. ჭავჭავაძის „კეთილი მეზობლები“, ზ. ფურცხვანიძემ ქუთაისის თეატრში — რ. თაბუკაშვილის „რის იტყვის ხალხი“, იგივე პიესა დადგა სოხუმის თეატრში ა. ქუთათელაძემ. უ. დარჩიამ თელავის თეატრში მოამზადა გ. სუნდუკიანის „პეპო“, ხოლო რ. ბიბულაძემ ზუგდიდის თეატრში — ა. ოსტროვსკის „გვიანი სიყვარული“.

მიმდინარე თეატრალური სეზონის ბოლომდე რამდენიმე თეატრში დაიდგმება საგიპლომო სპექტაკლები. სანიტარული კულტურის თეატრში ბ. მეძმარიაშვილი დასადგმელად ამზადებს ა. არბუზოვის „ტანის“, ვ. მაღლაფერიძე ბათუმის თეატრში — ესპანელი დრამატურგის გიმერას პიესას „ადამიანსა და მგელს“, ო. ზაუტაშვილი სტალინირის თეატრში — ბ. ჯაფარიძის „ჩვენებურებს“, ნ. რუსიაშვილი გორის თეატრში — ლ. გოთუას „თუთის ბატარძალს“ და გ. მაცხონაშვილი ფოთის თეატრში — ი. ჭავჭავაძის „კეთილ მეზობლებს“.

გრიბოედოვის სახელობის თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრა

თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მომდინარე თეატრალური სეზონი დასასრულ 3 ივნისს სპექტაკლით „შემთხვევითი შეხვედრები“.

თეატრის კოლექტივი 113 კაცის შემადგენლობით საგასტროლოდ გაემგზავრა ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ დედაქალაქ ორჯონიკიძეში. აქ, კ. ხეთაგუროვის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საზაფხულო თეატრში, 5 ივნისს წარმოდგენილ იქნა პირველი საგასტროლო სპექტაკლი „პორტარტური“.

გასტროლების დროს, რაც 2 ივლისამდე გასტანს, ორჯონიკიძელები ნახავენ თეატრის 15 საუკეთესო სპექტაკლს („თოლია“, „ვერაგობა და სიყვარული“, „პერსონალური საქმე“, „ოკეანე“, „ხევისბერი გოჩა“, „ნორა“, „ერთი სიყვარულის ისტორია“, „პროკურორის ქალიშვილი“, „ბრალდება“ და სხვ.).

პარალელური სპექტაკლებით თეატრი მომსახურებას გაუწევს ახლო რაიონის მშრომელებს და გამართავს რამდენიმე საშეფო სპექტაკლს სამხედრო ნაწილებში.

ორჯონიკიძეში გასტროლების დამთავრების შემდეგ თეატრი გაემგზავრება ბათუმსა და სოხუმში.

ახალი სპექტაკლი

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართულმა თეატრმა მორიგ ახალ სპექტაკლად მაყურებელს უჩვენა ა. ოსტროვსკის პიესა „უდანაშაულო დამნაშავენი“. სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. ჭელიძემ, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. შტენბერგს, მუსიკა — გ. ცაბაძეს.

სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. დარისპანაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ი. დონაური, ნ. სირბილაძე, ა. ღვინიაშვილი, მ. ჯაფარიძე, ვ. არეშიძე, ი. ნინუა, ნ. ხარავა, მსახიობები გ. რევაზიშვილი, ა. თედიაშვილი, რ. თავართქილაძე და სხვ.

საგზოთა მშენებლობა

საქალაქო საბჭო და ადგილობრივი მრეწველობა

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში დიდი ამოცანები აკისრიათ საბჭოებს. მათს ორგანიზატორულ მუშაობაზე, სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი მათი ხელმძღვანელობის დონეზე დიდად არის დამოკიდებული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავის ვიძლ საქმედ მიაჩნია ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს, მათი კოლექტივების მთელი ძალები წარმართოს ახალ ამოცანათა განხორციელებისაკენ.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის სისტემატური მსჯელობის საგანია სამრეწველო კომბინატის საწარმოების გაფართოება-გამსხვილების, საამქროების სპეციალიზაციის, საწარმოო ფართობების უკეთესად გამოყენების საკითხები. მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში აქტიურად ონაწილეობენ დეპუტატები, აქტივი. ყოველივე ეს ხელს უწყობს სამრეწველო კომბინატის საწარმოებში შრომის ნაყოფიერების ზრდას, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ქალაქის სამრეწველო კომბინატის საწარმოებმა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა 1955 წლის პირველი ოქტომბრისათვის დიდი გადამეტებით შეასრულეს. ქექანიკურმა ქარხანამ, საქსოვ-სატრიკოტაჟო ფაბრიკამ და კულტსაგალანტერიო წარმოებამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებასთან ერთად ზუსტად დაიცვეს ნომენკლატურა.

ძირითადი ნედლეულის, დამხმარე მასალების, ელექტროენერგიისა და საწვავის მომჭირნეობით ხარჯვის შედეგად მეხუთე ხუთწლედის მეორე ნახევარში დაზოგილია 2.800 ათას მანეთზე მეტი, შემცირდა გამოშვებული პროდუქციის, კერძოდ, ავეჯის, ტრიკოტაჟის ნაწარმის, მოზაიკის პირსაბნების, ლითონის საკიდების, ლითონის საწოლების, კრამიტის თვითღირებულება.

საქალაქო საბჭო აქტივზე დაყრდნობით სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებს საწარმოთა რენტაბელობისათვის, დახმარებას უწევს საწარმოებს დაგროვების დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. მეხუთე ხუთწლედში ქალაქის სამრეწველო კომბინატმა ადგილობრივ ბიუჯეტს მისცა 15.200 ათასი მანეთი, რაც მოხმარდა მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასა და ქალაქის კეთილმოწყობას.

სამრეწველო კომბინატის საწარმოებში სერიოზული ყურადღება ექცევა გამომგონებლობასა და რაციონალიზაციას. მეხუთე ხუთწლედის უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საწარმოებში დაინერგა 34 რაციონალიზატორული წინადადება, რის შედეგად მიღებულია 325 ათასი მანეთი წლიური ეკონომია. მექანიკური ქარხნის ინჟინერმა გ. ასათიანმა ადგილობრივი საშუალებების გამოყენებით დაამზადა გამჭიმავი დაზგა, რომლითაც ფურცლოვანი ფოლადის ნარჩენებიდან აკეთებენ 10, 12 და 16-მილიმეტრიან მილებს ლითონის საწოლებისათვის. ამან დიდად შეუწყო ხელი საწარმოს შეუფერხებელ მუშაობას, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. საქსოვ-სატრიკოტაჟო ფაბრიკის სპეციალისტებმა, ინჟინერ ი. კოხრეიძის ხელმძღვანელობით, წყობილეზიდან გამოსულ წინდისსაქსოვ სამანქანას შეუცვალეს კონსტრუქცია. ახლა ეს მანქანები, რომლებზეც მამაკაცის წინდები იქსოვება. მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევიან.

ადგილობრივი მრეწველობის საწარ-

იემენის მემკვიდრე პრინცის სეიფ ულ-ისლამ ელ-ბადრის სსრ კავშირში მომავალი ჩამოსვლის შესახებ

საბჭოთა მთავრობამ მისი სამეფო უმაღლესობა სეიფ ულ-ისლამ ელ-ბადრი, მემკვიდრე პრინცი, იემენის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი, მოიწვია ესტუმროს საბჭოთა კავშირს მისთვის მოხერხებულ დროს.

მისი უდიდებულესობა იემენის მეფე იმამ აჰმედ იბნ იაჰია იბნ-მოჰამედ ჰამიდ ედინი დათანხმდა ამაზე და მადლობას უძღვნის საბჭოთა მთავრობას პრინც სეიფ ულ-ისლამ ელ-ბადრის მიპატიჟების გამო, რომელმაც საამოვნებით მიიღო მიწვევა ესტუმროს საბჭოთა კავშირს.

პრინცი სეიფ ულ-ისლამ ელ-ბადრი საბჭოთა კავშირს ეწვევა 1956 წლის ივნისში.

მოსკოვში ჩამოვიდა იუგოსლავიის მთავრობის ეკონომიური დელეგაცია

7 ივნისს ბელგრადიდან თვითმფრინავით მოსკოვში ჩამოვიდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიური დელეგაცია. იგი მოლაპარაკებას აწარმოებს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის თანამშრომლობის საკითხზე იუგოსლავიაში მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების მშენებლობაში, აგრეთვე იმ საკითხებზე, რომ მოწყობილობა გაეგზავნოს იუგოსლავიის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებს.

დელეგაციას მეთაურობს საკავშირო აღმასრულებელი ვიჩეს წევრი იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საფინანსო საქმეთა საკავშირო სახელმწიფო მდივანი ავდო ხუმო.

ვნუკოვის აეროდრომზე იუგოსლავ სტუმრებს შეხვდნენ ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ნ. ა. სმელოვი, სსრ კავშირის ფინანსთა მეტალურგიის მინისტრის მოადგილე ა. ვ. ხარლამოვი, გემთმშენებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ა. მ. რედკინი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო. რესპუბლიკაში ი. ი. კრასუკი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოსა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

იუგოსლავიის მთავრობის ეკონომიურ დელეგაციას შეხვდნენ სრულუფლებიანი მინისტრი, სსრ კავშირში იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი ბ. ოსოლნიკი და საელჩოს სხვა პასუხისმგებელი თანამშრომლები. (საკდესი).

დაიღუპა ინგლისელი მეაგრომე მეცნიერი

ნიუ-იორკი, 7 ივნისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ჰარუელიდან (ინგლისის ატომის ცენტრი) იუწყება, ინგლისის ატომის ენერგიის საკითხთა სამმართველომ გამოაცხადა, რომ 34 წლის ასაკის უფროსი თანაშრომელი გრეჰემ ჰოკინსი გარდაიცვალა ელექტროდენის დარტყმით ჰარუელში ახალი პროტონული დამჩქარებლის გამოცდის დროს.

ჰოკინსი, მაღალი ენერგიების სპეციალისტი, ცდიდა ელექტრონულ ლამპას, რომელიც განკუთვნილი იყო ერთ-ერთი დიდი დამჩქარებლისთვის.

ო. გროზევოლმა მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

ბერლინი, 8 ივნისი (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა გუშინ მიიღო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოსული კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის კიმ ირ სენის მეთაურობით.

გერმანელების მხრივ დარბაზობას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრები ლ. ბოლცი, ჰ. რაუ, ო. ნუშკე, ჰ. ლოხი, პ. შოლცი, ფ. ელსნერი და კ. მარონი.

საუბრის დროს, რომელიც გულითადობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, განხილულ იქნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის საკითხები, საერთაშორისო მდგომარეობისა და გერმანიისა და კორეაში არსებული მდგომარეობის საკითხები.

იმავე დღეს კორეის მთავრობის დელეგაციის წევრმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა ოფიციალური ვიზიტი გაუკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ლ. ბოლცს. ნამ ირს ახლდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პაკ კილ ენი.

იუგოსლავიის გაზეთი საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის შესახებ

ბელგრადი, 7 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „პრავრედნი პრეგლედმა" გამოაქვეყნა სტატია „საბჭოთა საგარეო ვაჭრობა და იუგოსლავია". სტატიაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიურმა განვითარებამ საშუალება მისცა მას მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ჩინეთისათვის ინდუსტრიალიზაციის საქმეში და მიეცა მათთვის გრძელვადიანი კრედიტები 21 მილიარდი მანეთის რაოდენობით. სსრ კავშირი დახმარებას უწევს ავრეთვე ზოგიერთ სუსტად განვითარებულ ქვეყანას. მარტო სამ ქვეყანას — იუგოსლავიას, ავღანეთსა და ინდოეთს — სსრ კავშირმა მათი ინდუსტრიალიზაციისათვის მისცა გრძელვადიანი კრედიტები 600 მილიონი დოლარის როდენობით. საბჭოთა კავშირის გამოჩენამ ზოგიერთი ქვეყნის ბაზრებზე გამოიწვია დასავლეთის სახელმწიფოების ზეგავლენის შესუსტება, რომლებიც თავიანთი ფასების პოლიტიკით იყენებდნენ სიძნელეებს, რაც ამ ქვეყნებს ჰქონდათ საექსპორტო საქონლის რეალიზაციის დარგში. საბჭოთა კავშირისა და არაევროპულ ქვეყნებს შორის ბრუნვის საერთო მოცულობა 1953 წლის 154 მილიონი დოლარიდან 1955 წელს გადიდდა 195,3 მილიონ დოლარამდე. საქონლბრუნვა ეგვიპტესთან ამ ხნის განმავლობაში 13-დან 19,6 მილიონ დოლარამდე გადიდდა, ინდოეთთან — 7,7-დან 10,8 მილიონ დოლარამდე, ირანთან 32,3-დან 48,9 მილიონ დოლარამდე. თავის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაში საბჭოთა კავშირი იყენებს უმთავრესად სამ ფორმას: შეთანხმებებს მეცნიერული და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, შეთანხმებებს საინვესტიციო და საქონლის კრედიტების შესახებ და შეთანხმებებს გრძელვადიანი კრედიტების შესახებ. ურთიერთობის სამივე ეს ფორმა შეიცავს ზოგიერთ ახალ ელემენტს, რომლებიც მნიშვნელოვანწილად შეესაბამებიან სუსტად განვითარებული ქვეყნების მოთხოვნილებებს. ამით ლიკვიდირებულია ამ ქვეყნების ცალმხრივი დამოკიდებულება დახმარების ერთადერთ წყაროზე, რის შედეგად საერთაშორისო თანამშრომლობის პირობები სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის უფრო ხელსაყრელი გახდა.

იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს შორის პოლიტიკური ურთიერთობის ნორმალიზაციამ, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, სწრაფად მოახდინა გავლენა აგრეთვე მათ შორის საქონელბრუნვის მოცულობაზე. ეს სავსებით გასაგებია, თუ მხედველობაში მიეღებთ ძირითად პრინციპებს, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა საფუძვლად უდებს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას ეკონომიურ დარგში: პარტნიორთა სამინაო საქმეებში ჩაურევლობას, ურთიერთ სარგებლობის პრინციპსა და იმას, რომ არ იყოს არავითარი პოლიტიკური ან ეკონომიური დისკრიმინაცია. ყოველივე ამან გავლენა მოახდინა იმაზე, რომ საქონელგაცვლის შეწყვეტის პერიოდის შემდეგ იგი კვლავ გაცხოველდა და განვითარების ტემპით მნიშვნელოვნად სჯობობს სხვა ქვეყნებთან იუგოსლავიის საქონელბრუნვის ზრდას. 1956 წლის პირველ კვარტალში საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში იუგოსლავიის ექსპორტის ზრდის ტემპი გაცილებით უფრო სწრაფი იყო, ვიდრე 1955 წლის იმავე პერიოდში. საშუალოდ იუგოსლავიის საერთო ექსპორტი 1956 წლის პირველ კვარტალში გადიდდა 32,5 პროცენტით, ხოლო ექსპორტი საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში — 240 პროცენტით. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ქვეყნებში საერთო ექსპორტიდან 56,5 პროცენტი მოდის საბჭოთა კავშირზე. საბჭოთა კავშირს, რომელსაც შარშან მერვე ადგილი ეკავა იუგოსლავიის ექსპორტში და მეთოთხმეტე ადგილი იმპორტში, ახლა მეოთხე ადგილი უკავია როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის მხრივ. საქონელბრუნვის ასეთი განვითარება საშუალებას აძლევს იუგოსლავიას გაასაღოს თავისი საექსპორტო ნაწარმი ახალ ბაზარზე და გაუთმაჯობესოს თავისი მრეწველობის მომარაგება ნედლეულით და სანედლეულოთ.

საბჭოთა კავშირის აქტივობამ საერთაშორისო ბაზრებზე, ნათქვამია დასასრულ სტატიაში, ერთგვარი შეშფოთება გამოიწვია იმ ქვეყნებში, რომლებიც საგარეო ვაჭრობას უყურებენ ბაზრის მონოპოლიური დაუფლებისა და საქონელბრუნვის პირობების მონოპოლიური დიქტატის თვალსაზრისით. ახალი კონკურენტის გამოჩენამ, რომელმაც უკანასკნელ წლებში ბევრ წარმატებებს მიაღწია ზოგიერთ ბაზარზე, შექმნა პირობები იმისათვის, რომ შემცირდეს ზოგიერთი ქვეყნის ცალმხრივი დამოკიდებულება მომარაგების წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე. ამრიგად, ამ ქვეყნებმა შეძლეს მნიშვნელოვანი სარგებლობა მიეღოთ საერთაშორისო საქონელბრუნვიდან. საბჭოთა კავშირის ეკონომიური განვითარება და მისი საგარეო პოლიტიკის ახალი ტენდენციები მოწმობენ, რომ საქმე ეხება არა რაღაც დროებით მოვლენას, არამედ ახალ შეხედულებას საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობაზე.

ეგვიპტის მოსახლეობის რაოდენობა

ქაირო, 7 ივნისი. (საკდესი). ყოველკვირეული „ათ-თაჰრირი" იუწყება, რომ, უკანასკნელი სტატისტიკური ცნობების თანახმად, ეგვიპტის მოსახლეობა ამჟამად დაახლოებით 23.899 ათას კაცს უდრის. ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში 2.720 ათასზე მეტი მცხოვრებია.

ტოკიოს მოსახლეობის რიცხვი

ნიუ-იორკი, 8 ივნისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება, დღეს იქ გამოცხადდა, რომ ტოკიოს მოსახლეობის რიცხვი 1956 წლის I მაისს შეადგენდა 8.194.283 კაცს, აქედან 4,219.850 მამაკაცია.

კორეის დაზავების სამხედრო კომისიის სხდომა

ფხენიანი, 8 ივნისი. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ გაიმართა დაზავების სამხედრო კომისიის 72-ე სხდომა. კორეა-ჩინეთის დელეგაციის მეთაური გენერალ-მაიორი ტენ გუკ ნოკი შეეხო ღონისძიებებს, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანს კორეა-ჩინეთის მხარემ განახორციელა კორეის საკითხის მოწესრიგების საქმეში. ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამა წლის 9 აპრილის წინადადებას, რომ მოწვეულ იქნას დაინტერესებული ქვეყნების კონფერენცია, რათა განხილულ იქნას კორეიდან მთელი უცხოელი ჯარების გაყვანის და კორეის მშვიდობიანი გაერთიანების საკითხი.

ტენ გუკ ნოკმა კვლავ დაგმო ამერიკის მხარის უკანასკნელი მოქმედება, რომლის მიზანია სამხრეთ კორეიდან ნაზავების მეთვალყურე ნეიტრალური კომისიის გაძევება. აღნიშნა რა, რომ ამერიკის მხარის უხეში ზეგავლენით დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისია 5 იანვრის იძულებული გახდა წინადადება მიეცა დაზავების სამხედრო კომისიისათვის მოეხდინა თავისი საინსპექციო ჯგუფების დროებითი ევაკუაცია, ტენ გუკ ნოკმა მოითხოვა, რომ დაზავების სამხედრო კომისიაში ორივე მხარემ შემდეგი განცხადება გააკეთოს დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის სახელზე:

1) დეფექტები დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის და მისი საინსპექციო ჯგუფების კომპეტენციის შესახებ დაზავების შეთანხმების განუყოფელი შემადგენელი ნაწილია და ამიტომ იგი არ უნდა შეიცვალოს.

2) საინსპექციო ჯგუფების ევაკუაცია სამხრეთისა და ჩრდილოეთის ორივე მხარის ტერიტორიიდან დროებითი ღონისძიებაა. ამ შემთხვევაში, თუ ორი მხარიდან რომელიმე დასაბუთებულად განაცხადებს, რომ მეორე მხარეს დაარღვია დაზავების შეთანხმება, დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალურ კომისიას უფლება აქვს გაგზავნოს საინსპექციო ჯგუფები, რომლებსაც ნება უნდა „დაერთოთ იყვნენ გადატვირთვის აღნიშნულ პუნქტებში.

დაზავების სამხედრო კომისიაში ამერიკის წარმომადგენელმა უარი თქვა მიეღო ეს წინადადება. ტენ გუკ ნოკმა გააფრთხილა, რომ დაზავების შესახებ შეთანხმების ჩაშლის ცდებისათვის ყველა შედეგი დაეკისრება ამერიკის მხარეს.

გენერალ-მაიორმა ტენ გუკ ნოკმა ცალკე გაგზავნა დაზავების სამხედრო კომისიის კორეა-ჩინეთის მხარის წერილი დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის სახელზე ამ კომისიის 5 ივნისის წერილის პასუხად. ტენ გუკ ნოკის წერილში ჩამოყალიბებულია კორეა-ჩინეთის მხარის პოზიცია დაზავების სამხედრო კომისიის ამ სხდომაზე და ნათქვამია, რომ ორი ზემოხსენებული პუნქტის საფუძველზე კორეა-ჩინეთის მხარე ეთანხმება დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის რეკომენდაციას ნეიტრალური საინსპექციო ჯგუფების დროებითი ევაკუაციის შესახებ.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაკმაყოფილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩის თხოვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

• • •

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ალექსანდრე პეტრეს-ძე ვოლკოვი დანიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

სპორტის ამბები

★ ★

საქართველოს მოჭადრაკეთა წარმატება

ერევანი. 8 ივნისი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). გუშინ ერევანში გათავდა სსრ კავშირის XXIV საჭადრაკო ჩემპიონატის ზონალური შეჯიბრების უკანასკნელ ტურებში გადადებული პარტიები.

კალატოზიშვილისა და საკავშირო ოსტატის კასპარიანის პარტია გადადებული იყო კასპარიანისთვის უარეს მდგომარეობაში. კალატოზიშვილმა ზუსტად გამოიყენა უპირატესობა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მანვე გადადებული პარტია გულდინთან ყაიმით დაამთავრა. ბლაგიძეს დაუმთავრებელი ჰქონდა 4 პარტია. აქედან ერთი შეხვედრა მოიგო კასპარიანთან, ორი პარტია ლისტენგარტენთან და მარტროსიანთან ყაიმით დაამთავრა და წაიგო ამირხანოვთან. გიორგაძე დამარცხდა გულდინთან. გულდინ-ტოლუშის, ბუსლაევ-ამირხანოვისა და კალაშიან-ხალილბეილის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

დღეს გაიმართა უკანასკნელი, მე-19 ტური. ტოლუშმა მოუგო კალატოზიშვილს, გიტერმანმა — გიორგაძეს, გულდინმა — ბლაგიძეს, კასპარიანმა — ბუსლაევს, ხალილბეილიმ — ლუზოვიცკიმ (თერთმეტ-თერთმეტი ქულა). შიშოვმა, ამირხანოვმა და კალაშიანმა შეაგროვეს ათანაბრივ-ათანაბრივი ქულა.

ამრიგად, ნახევარფინალში გავიდნენ კასპარიანი (სომხეთი), გურგენიძე (საქართველო), გულდინი (აზერბაიჯანი) და ბუსლაევი (საქართველო. უკეთესი კოეფიციენტი).



ბ. გურგენიძე. ა. ბუსლაევი.

• • •

საერთაშორისო შეხვედრები ფეხბურთში

ლენინგრადი. 7 ივნისი. კიროვის სახელობის სტადიონზე შედგა მიმდინარე სასპორტო სეზონის მეორე საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ თურქეთის კლუბის „ფენერბახჩესა" და მოსკოვის „დინამოს" გუნდები. მატჩი მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა და დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

კიევი. 8 ივნისი. საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში ბულგარეთის „უდარნიკისა" და კიევის „დინამოს" გუნდებს შორის დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით 2:0.

XVIII ჩემპიონატის პირველი წრის ფინიშთან

გუშინ ლენინგრადში გამართული მატჩით ადგილობრივი „ზენიტის" და მოსკოვის „ლოკომოტივის" გუნდებს შორის ძირითადათ დამთავრდა ფეხბურთში სსრ კავშირის 1956 წლის პირველობის გათამაშების პირველი ნახევარი. ეს მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

ორ თვეზე მეტმა დრომ სპორტულად საინტერესო ასპარეზობაში განვლო. უკან მოვიტოვეთ „ა" კლასის 12 უძლიერესი კოლექტივის 65 მატჩი, შინაარსიანი და მომზადებული ორთაბრძოლა. თუ რაოდენ მძაფრი იყო განცალკევებული შეხვედრები, ამას ცხადყოფს ამ ასპარეზობათა შედეგები. ასე, მაგალითად, პირველი წრის მატჩების მესამედზე მეტი (25) ფრედ დამთავრდა 18 შეხვედრა — თითო ბურთის განსხვავებით, 15 შეჯიბრება — 2 ბურთის განსხვავებით და ა. შ. 65 მატჩში გატანილია 195 ბურთი.

პირველ წრეში ყველაზე მეტი მოგება (7) აქვს ახალგაზრდა კოლექტივს — კიშინოვის „ბურევესტნიკს". ექვს-ექვსი მოგება აქვთ მოსკოვის „სპარტაკსა" და „ტორპედოს". ყველაზე მეტი ბურთი (28) გაიტანეს სპარტაკელებმა. მიღებული ბურთების მხრივ უკეთესი მდგომარეობა (12) აქვს თბილისის „დინამოს".

პირველი წრე დედაქალაქის „სპარტაკის" გუნდის გამარჯვებით დამთავრდა, რომელსაც 15 ქულა აქვს. იგი ლიდერია ბურთების შეფარდებით. მომდევნო ორ ადგილზე თხუთმეტ-თხუთმეტი ქულით იმყოფებიან მოსკოვის „ტორპედო" და კიშინიოვის „ბურევესტნიკი". მათ ჰყოფს ბურთების შეფარდება. 3 გუნდს — თბილისის, მოსკოვისა და კიევის „დინამოს" აქვს თორმეტ-თორმეტი ქულა (თანმიმდევრობა დაცულია ბურთების შეფარდებით). მომდევნო ადგილებზე არიან: „ლოკომოტივი", ცდა, „ზენიტი", „შრომითი რეზერვები", „შახტიორი" და სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის გუნდი.

დღეს იწყება ჩემპიონატის მეორე წრე.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურგიკიძე.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ფაუსტი, რუსთაველის სახელობის — ჩვენებურები, მარჯანიშვილის სახელობის — მაია წყნეთელი, სომხური დრამის — სისხლიანი უდაბნო, მუსიკალური კომედიის — ჩვენი ნაცნობები. გრიბოედოვის სახელობის — დიდი ხელმწიფე (ჩრდილოეთ ოსეთის რუსული დრამის რესპუბლიკური თეატრის გასტროლები).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), 26 კომისრის სახელობის (საზამთრო), ოქტომბერი, ისანი (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, კომუნარების ბაღი — უკვდავი გარინაზონი, ამირანი (საზამთრო) სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), კოლხიდა (საზამთრო), ვოროშილოვის სახელობის კლუბი, ფილარმონიის ბაღი, კიროვის სახელობის პარკი — ეთერის სიმღერა.

დისერტაციების დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8)

1956 წლის 19 ივნისს დილის 12 საათზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ

1. ხატალი შახიმის-ძე ურუსოვი

თემაზე „ზედსართავი სახელი თანამედროვე ყაბარდოულ-ჩერქეზულ ენებში".

2. ახმედ-ხან ხამუზის-ძე ნალოევი

თემაზე „დროის კატეგორია ყაბარდოულ ზმნაში".

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

სადაზღვევო ბანკი

სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის თანამშრომლები იუწყებიან ბანკის ძველი მუშაკის

გარეგინ გიორგის-ძე გარდიშიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-VI, 7 ს. გამოსვენება 10-VI, 2 ს. ბინიდან ქ. № 3.

მეუღლე ბაბო, შვილი ქენია, სიძე ბ. ბიკაშვილი ოჯახით და ნათესავებით იუწყებიან

კიკოლა ალექსეს-ძე ლამაზოშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-VI სოფ. არბოშიკში (წითელწყაროს რ.).

მეუღლე სალომე, შვილები ქაია, რაშელი, დები ოლღა, ნადია ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

ალექსანდრე იულონის-ძე დგებუაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-VI, 8 ს. გამოსვენება 10-VI, 4 ს. ბინიდან, ბოკორიშვილის ქ. № 17.

მეუღლე ჰეჰეკო, შვილები ციცინო, ლევან, თენგიზ, ძმები ვანო, ვასო, ესტატე ოჯახებით იუწყებიან

ანიკო ნიკოლოზის ასულ ურიგაშვილი-ქავთარაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-VI სოფ. სიმონეთში (ქუთაისის რ.).

დედა მაშო, დები ელენე, როზა ოჯახებით იუწყებიან

იზოლდა რუბენის ასულ კბილაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-VI სოფ. თლუღეში (ამბროლაურის რ.).

მეუღლე ფარნაოზ კუჭავა, რძალი ნინო ნაკეფია და შვილიშვილები იუწყებიან

მართა ალფეზის ასულ მაჭარაშვილი-კუჭავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-VI სოფ. კორბოულში (საჩხერის რ.).

მეუღლე გალერიან, შვილი ნიგარა იუწყებიან

ხალმეგ ჭიკინაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-VI, 9 ს. გამოსვენება 10-VI, 3 ს. რუსთაველის პროსპ. № 26.

სამტრესტის ტეგეჩკორის ღვინის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ამავე ქარხნის დირექტორის

ალექსანდრე პეტრეს-ძე გალდავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-VI, სოფ. გეგეჭკორში (გეგეჭკორის რ.).

შვილები ნინო, ელენე, სიძეები დ. მეიფარიანი, ა. ფუტკარაძე ოჯახებით იუწყებიან

დარია ზაქარიას ასულ ხელაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-VI, 8 ს. გამოსვენება 10-VI, 4 ს. ბინიდან, ნინოშვილის ქ. № 28.

დედა ნინო, მეუღლე გიორგი, შვილები შოთა, შალვა, და ელენე, სიძე ა. ბარბაქაძე ოჯახებით იუწყებიან

მარგალიტა ივანეს ასულ გურასპაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-VI, 4 ს. სოფ. კარდანახში.

შვილები დავით, ალექსანდრე ოჯახებით იუწყებიან

ესმა ბურდღუს ასულ გუნიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-VI ქ. ცხაკაიაში, გამოსვენება ბინიდან, ბათუმის ქ. № 1.

მეუღლე ბაბი, შვილები მიხეილ, თენგიზ, ძმა ალიოშა იუწყებიან

კაკო ავქსენტის-ძე ჩოჩიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-VI ქ. ფოთში. გამოსვენება ბინიდან, ლუქსემბურგის ქ. № 2.

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი

სად გავატაროთ კვირა დღე

მუშაობა განაახლა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმმა საგურამოში. აქ კიე წყაროსთან, იმ კაკლის ხის ქვეშ, სადაც მრავალი ჩანაფიქრისთვის ხორცი შეუსხამს ილიას, იკრიბებიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული და საგურამოს წარმტაცი ბუნებით მოხიბლული ექსკურსანტები. ისინი დიდი ინტერესით ათვალიერებენ ექსპონატებით მდიდარ, კარგად გაფორმებულ სახლ-მუზეუმის დარბაზებს.

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი გ. მიხეილიძე, ექსკურსიამძღოლები ნ. ასათიანი და შ. მარკოზაშვილი მთელი დატვირთვით მუშაობენ, დამთვალიერებლებს გულდასმით აცნობენ ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ საინტერესო მასალებს.

დიდი მწერალი და მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე ქართველ ხალხს ასწავლიდა თავისი ისტორიისა და ეროვნული კულტურის სიყვარულს. ილიას ცხოვრების კეთილშობილური მიზანი იყო ხალხისადმი სამსახური:

„დაე თუნდ მოკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ — კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან — ადასრულა მან თვისი ვალი".

მწერლისადმი მადლიერი ქართველი ხალხის სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულებაა ეს მშვენიერი სახლ-მუზეუმი, რომელშიც უხვად არის ილია ჭავჭავაძის ცხოვრების, შემოქმედებისა და საზოგადოებრივ მოღვაწეობის ამსახველი მასალები.

სახლ-მუზეუმის ექსპოზიციაში გამოყენებულია ოთხი ტიპის მასალები: დოკუმენტალური, დამხმარე-სამეცნიერო, დამხმარე-მხატვრული და განმარტებითი. ამათგან ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია დოკუმენტალური-მემორიალური მასალები — ილიას პირადი ნივთები, საწერი მრწყობილობა, ავტოგრაფები, წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, ფოტოსურათები და სხვ.

ყველა განყოფილებაში გამოყენებულია დამხმარე-მხატვრული მასალები — ილუსტრაციები, ფოტოსურათები, მაკეტები, პანორამა. საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი განმარტებითი მასალები — ამონაწერები, სტროფები, შენიშვნები.

ექსკურსანტები სახლ-მუზეუმის შვიდ დარბაზში ეცნობიან ილიას სახელთან დაკავშირებულ, თემატურად განლაგებულ მასალებს. პირველი დარბაზი დათმობილი აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა და ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა პორტრეტებს და მათს შეხედულებებს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.

მეორე დარბაზის ექსპონატები მოგვითხრობენ ილიას ბავშვობისა და ყრმობის, მისი წინაპრებისა და მშობლების შესახებ. ამ დარბაზის ექსპოზიციაში სრულიად ახალია გ. ჩირინაშვილის მიერ შესრულებული სურათი — „პატარა ილიას გლეხის ბავშვებთან ერთად წერა-კითხვას ასწავლის დიაკვანი". დიაკვანმა მომავალ მწერალზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ამ გავლენამ თავი იჩინა „დიმიტრი თავდადებულზე" და „გლახის ნაამბობზე" მუშაობისას. ამავე დარბაზშია გამოფენილი ილიას სტუდენტობის პერიოდის ამსახველი მასალები. პეტერბურგის პერიოდი. პროფესორ-მასწავლებლების, დიდი რუსი მოაზროვნეებისა და რევოლუციური დემოკრატიის გამოჩენილი წარმომადგენლების პორტრეტები.

სახლ-მუზეუმის ექსპოზიციაში თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი განყოფილებას — ილია და ხალხთა შორის მეგობრობა. ილია ჭავჭავაძეს უყვარდა ქართველი ხალხი, იგი უმღეროდა ხალხთა შორის მეგობრობას, ყველა ეროვნებისა და რასის წარმომადგენელთა მეგობრულ ურთიერთობას, მოითხოვდა ამერიკავკასიის ხალხთა ძმური კავშირის განმტკიცებას, პატივს სცემდა დიდ რუს ხალხს და გატაცებით ლაპარაკობდა „რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშით ფრთაშეხსნილი" ქართველი ერის შესახებ.

ილია ჭავჭავაძე მგრძნობიარედ გამოეხმაურა 1905 წლის რევოლუციას. ამის შესახებ მოგვითხრობს განყოფილება — ილია და 1905 წლის რევოლუცია.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო. სახელმწიფო საბჭოში იგი თავადაზნაურობამ წარგზავნა. მიუხედავად ამისა, ილია იცავდა მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესებს. რეაქციის მძვინვარების წლებში, როდესაც სახრჩობელას სტოლიპინის ჰალსტუკს უწოდებდნენ, ილია ჭავჭავაძე გამოვიდა სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე და მოითხოვა სიკვდილით დასჯის გაუქმება, რითაც აღაშფოთა მეფის რუსეთის მოხელეები.

ცალკე განყოფილებებად არის წარმოდგენილი — ილია საგურამოში, ილიას დევნა მეფის ხელისუფლების მიერ, ილიას მოკვლა და დაკრძალვა, ილია ჭავჭავაძე და საბჭოთა თანამედროვეობა და სხვ.

მრავალ მნახველს იზიდავს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. აქ მოდიან რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან, საწარმოებიდან და კოლმეურნეობებიდან, ათვალიერებენ სახლ-მუზეუმის დარბაზებს, ისვენებენ ილიასეულ ბაღში და შთაბეჭდილებათა წიგნში ტოვებენ თავიანთ ჩანაწერებს. მოდიან თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან, თელავიდან და სხვა ქალაქებიდან სტუდენტები და მეცნიერი მუშაკები, მოსწავლეები და მშრომელები და არა მარტო ჩვენი რესპუბლიკიდან; მოდიან ლენინგრადიდან, სვერდლოვსკიდან, უკრაინიდან, ესტონეთიდან, ლატვიიდან; უფრო მეტიც, შთაბეჭდილებათა წიგნში წაიკითხავთ ჩინელი, ინდოელი, ვიეტნამელი, პოლონელი, ბულგარელი, უნგრელი ექსკურსანტებისა და საზოგადო მოღვაწეების მ